


წელიწადი
კირილი

22 სექტემბერი
1877 წ.



საზოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

გამოდის ხუთშაბათობით

ხელის მოწერა: ტფილისს, „რედაქციის“ მთავრის ქუჩაზე, შიოშვილის სახლების შემოდ. № 5 ქუთაისს, ანტონ ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში.

„რედაქციის“ ფასი 1877 წელს.

ათის თვისა, გაგზავნილ და გაუგზავნელად . . . 6 მს. —
თითო ნომერი — 15 კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და ში-
შოშვილის დასაბუჯდომ გამოცხადებულ წერილებს.
განცხადება მიიღება ქართულსა და რუსულს ენაზე.

საძიებელი. I. საქართველოს მატინე: თელავი, სურამი,
სეგურეთი, გავრილი. — II. ამის ამბები. — III. საზოლიტიკო
მიმდინავე: საურთგეთი, ავსტრი-ვეტროა, იბლისი. — IV. კუ-
რული ქართველთ-ელაზი, ვაქალისა. — V. სავაზნავს ღეჭ-
სი. — VI. დიდოვლების აჩუქებლობა და კასეთი, ტიხოვლისა.

საქართველოს მატინე

(„რედაქციის“ კორრესპონდენტები.)

თელავი. — ხუთს სექტემბერს შუადღისას წა-
რების რაკ-რუკმა ფესვად წამოგვყენა. ერთი რამ
უნდათ მოვლინებთ გვეგონა. გაგზავნილთ საღვთო-
საგან. იქ დაგვხდა თელავის მმართველის თანაშემწე,
უფ. დროსდოვი. ყვიროდა და ძლიერ სულს იბრუნებ-
და, — ჩქარა გამოვიდეს ჯარი, ლეკები მოდიანო. ეც-
ნენ კიდევ ერთმანეთს საწყალი გლეხ-კაცები, თოფი
არსად, წამალი არსად — სად წასულიყვნენ. მაინცა და
მაინც თელავის მარაში ხუთასი კაცი მოკრიფეს. სა-
მასი კაცი ბეჟანისაგან გაგზავნეს, — ორასი კაცი
თელავში. ანწუხელები და კაპუტელები გადმოხუ-
ლიყვნენ ჩადუნისის თაგში, რომელიც მდებარებს 16
გერსტზედ საცხენისიდან. ჩამოსვლისავე უძალ დას-
ტეხდნენ კაბალზედ ხალხს. საქონელი დაეტანათ,
ხალხი დაესტანათ. მერე ბეჟანისელები მეტყველებით
რამდენიმე სასლობა, რომელიც დასახინსავად მიდნი-
ლიყვნენ, — ისინიც დაესტანათ. აქნობამდე ისინი ელა-
დნენ თურმე თავიანთ მომხრეებს, რომელთაც სიტყვა
ბიჯნათ ჩამოსვლისა, — მაგრამ იმათ თოფ იარაღი
აუყრიათ კიდევ და თავიც დაუტრავთ თ. ნაკაშიძისა-
თვის.

ამ აწუხელებს და კაპუტელებს კიდევ უთარეშ-
ნათ თურმე ბეჟანისელებზედ, — მაგრამ ამბობენ ჯარს,
რომელიც ღაგოდებიდან ყოფილ გამოგზავნილი,
გზა შეკრათ და ლეკები დაქსაქსულიყვნენ ტყეებში.
ჯარს ქქონდა ერთხელ შეტაკება და 30-დინ მოკე-
ლათ ლეკები. იმედა, რომ ამით თავიანთ ადგილს
აღარ აუშვებენ და აქვე გაუთხრან სამარეს. ამამბავ-
მა და ნამეცხვად უფ. დროსდოვის ფანცხა-ფუნცხა
მეტად შესძინა ხალხი. გადმა მხარი გამოდმა მხარეს
კამოინსხნა. ესლა მშვიდობიანობას.

სურამი 6 სექტემბერს. ჩვენში კალაობა გათავ-
და. გლეხებმა შეაღებეს ბუე საბუელებში, შური ამბ-
რებში, და ცოცხ-ფოცხები დერეფნებში. მოსვალს
წრეულს კარგი ზირი ქქონდა.

თვითონ საწყალ გლეხებს თავიანთიან შრომ-ნად-
გაწი არ შეჩხათ. წაიღეს, დანიტეს სოკი ზოდლსამ
სოკი ყაყა ურიაძე, სოკი გინა და სოკი გინა... სხვა-
ნი ირიგებენ იმის ნაშრომ-ნადგეს, ის კი გულზე
სულდაკრეფილი უყურებს და გულში კი სისხლის
ღვარი სდის, მაგრამ რა ქქნას საწყალმა? ხელიდან რა
გამოუვს? გლეხმა კარგად იცის, რომ უზოდლსოდ და
უყაყოდ იმისი საქმე იოლად გერ წავს; ვისი იმედი უნ-
და ქქონდეს გაჭირვებაში? თავად-ანსურებისა, თუ
ბანკისა? გლეხმა ძალიან კარგად იცის რომ, როცა გა-
ჭირვება დაადგება, ზოდლსას და ყაყა ურის სინი-
დისს უნდა მიეკედლოს. კიდევ ვიკითხავ: მის რა ქქნას?
ებნინც რა შვილები ბძანდებიან ყველამ გირით. სხვა-
გან არ ვიცი, აქ კი ძალიან უსინდისოდ იქცევიან ეს

ზატოისანი გვამნი. როცა მასრის უფროსის მოწერი-
ლობა დაწვრილებს სოფლებში ფოშტის ფულის გარ-
დასხსადის შესახებ, მაშინ გასწვივენ სოფლებისკენ სუ-
რამელი ვაჭრები და „ზოდრიადიკის პრიკასნიკები“
და გლეხებს ალღოს ააღებინებენ რომ ფულით მოგ-
სულვანთო. როგორც კაცა მეხვსა, ისე შექსტქერის
ამათაც გლეხ-განცა და თანაც აკონდებს ფოშტის ფუ-
ლი—გული უძგერს მასზედ,—გამოანთვას ფული
თუ არა. საწყაღმა კარგად იცის, რომ ფოშტის ფუ-
ლები არ გაისტუმროს, ბიბრუდ გახდეს, გაუყიდას
ან საქონელს ან ცაფა-ქვასს!.. რა ჭქნას? მიდის და
ჯერ არ დათესილს ჰურს და ქერს ჭყიდის ოხერ ფა-
სად, დაჭინდება, რომ კალსე ავიწყავთ ჰურსა და
ქერსაო. ეს კეთილის მყოფელებიც სინარულით ური-
გებენ ფულებს და იმ ფასს ჭსდებენ ჰურსე და ქერ-
სე, რა ფასიც ხელს მისცემსო. გლეხი იმ წამს ამით
კმყოფილია, იმიტომ, რომ თავიდან იშორებს ფოშ-
ტის ფულს, მაგრამ ის კი არ იცის, რომ ეს ამბავი
ერთი სუთად დაუჯდება ბოლოს.

ამ მდგომარეობაში არიან თითქმის მთელი სუ-
რამის საზრისტაოში მცხოვრები გლეხები. ამის გამო
სურამის საზრისტაოში საამხანაგო ბანკი აუცილებლად
საჭიროა.

ბანკსა ვჩივით, მაგრამ იმ აქლებიას არ იყოს,
სხვა რა გვაქვს სწორე, რომ კისერი გვქონდესო...

სხვა ჩვენში ახალი ამბავი ეს გახლავს: სურამი
გაიწურა, მარამომბისთვის ოც-და-სუთიდან ისე აცივ-
და, რომ თითქმის თუ არ თბილის ტანისამოსით
კაცს ვერ გამოესვლება. რაც საზაფხულად მოსულე-
ლები იყვნენ აქა, სულ დაიქსაქსნენ, დავრჩით ჩვენ და
ჩვენი წითელ-ჯვაროსნები.

ჯარის მოძრაობამ აქაურობა გააღვიძა. გავლი-
ლისთ თვის ოც-და-შვიდიდან დაწყობილია ჯარმა დაი-
წეო დენა, გრენადერის დივიზიის მიდის ქურუქდარა-
ში. ეს ჯარი მინაილოვანდისინ მოდის რეინისგვით,
იქ ჩერდება ერთ ღამეს და მეორე დღეს ჩქარის სია-
რულით გაემკვარება ხოლმე ახალციხისკენ. ჯარის-
კაცნი (საღდათები) მხიარულად არიან და აქვთ მხე
შეხედულება. მარტო ერთი იმათი შეხედულება გვარ-
წმუნებს, რომ, როცა ისინი მივლენ თავიანთ დანიშ-

ნულ ალაგას, სიცხეს მიაყენებენ თავ წითელს თით-
რებს, მაგრამ მარტო ხელმა რა ქმნას, თუნდა რეინი
საც იყოს....

აქ მყოფი მოსკოვის აზნაურთა საზოგადოების
დაუხვდა ამ ჯარს ჩათ. მშვენიერს ბადში, ხეებ ქვეშ
გამართა ფიცრის ტაბლები; ზედ გააძვეკრია ჩანს ჭი-
ქები და ხასი ჰურები. როცა ჯარი მოვა, მოიწვევენ
ხოლმე ტაბლებთან და მოელს ჯარს ასმევენ ჩანს.
თვითან უფ. შერეპეტრევი თავისის მეუღლით და
მოახლებით ემსახურებიან ჯარს. რასაკვირველია ამ ხა-
რი გულმტკიცეულობა გულს გაუკეთებს მეომრებს.
ჯარი მიდის ბორჯომის ხეობასე და გადადის ბა-
კურნიანის უღელ ტეხილსე, ხადაც დაქნილია ახალი
გზა, მაგრამ უღელტეხილსე ჯარს დაბრკოლების
მიერა, რადგანაც უღელტეხილსე თოვლი მოსულს
და აუტალახებია. ეს გზა თუძცა ვაი-გვალახით გა-
კეთდა, მაგრამ ამ გაჭირვების დროს ვერაფრად გა-
მოადგა ჯარსა. ამის გამო ჯარმა შეიცვალა გზა და
ესლა მიდის ახალციხესე, იქიდან მივა ახალ ქალაქსა
და ახალქალაქიდან გასწვივს ქურუქდარისაკენ.

ამ მოძრაობის გამო ბეგარს განშირდა. ყველა
სოფლებიდან ჩამოიყვანეს ურძებით გლეხები და აზი-
დებინებენ ჯარის ბარგსა. გლეხთა სიტყვით, ზოგჯერ
თურმე იძლევიან „ზრგონის“ ფულებს და ზოგჯერ
კი.....დღეს ზოლტავის ზოლკაცს გაიარა, რომელიც
ისეთივე ჩქარის სიარულითა მიდის მოკლეს გვით არ-
ტაჭანში.

ერთმა ახალციხიდან ჩამოსულმა კაცმა გვიამბო, რომ
ახალციხე არის მეტად ცუდს მდგომარეობაში. სიძვი-
რეს ყოვლიფერისა, მცხოვრებინც შიმ-კანკალში ვართო;
ერთი სოფლიდან მეორე სოფელში მგზავრი დიდ
შიშინობას გამოივლის ხოლმე; სოფლებზე დაცემს
აჭარლებსა, ტყვედ წახსმს და ავასაკობა გასშირე-
ბულიაო. „თავად არ იყო მძარიო, შიგ შეურიეს წყა-
ლიო“. როცა ომი არ იყო რა მდგომარეობაში იყო
ახალციხე, რომ ახლა რა მდგომარეობაში უნდა
იყოს.

ს. ბაერელი.

საბარძეო 5 ენციკლოპედიაში. — მე მსურს ვაცნობო საზოგადოებას ახლად შეძინებული სამეურნეო იარაღის მოქმედებას. მე ვაძიებ ახალ კვერსედ, რომელიც გააკეთა ნიკო ავალიშვილმა. ამ კვერსს გარდა, ავალიშვილს მთელი კალო აქვს მეხანისმით მოწყობილი რომელიც ჯერ-ხანად მხოლოდ ნიმუშად (მოდელად) აქვს გაკეთებული და მოქმედებაში ვერ მოუყვანია ერთის გარემოების გამო. ეს გარემოებაც ჩვენი კვერის უჯობია იყო. ჩვენ როგორც ვიცით, ეს ერთი წელიწადი იქნება, რაც ავალიშვილი ცდილობს რომ თავის მეხანისმს შესაფერი კვერი აურჩიოს. მგონი რაც ქვეყანაზედ კვერებია — არც ერთი არ დარჩენია გაუცნობელი. ამით შორის იმან თავისთვის შესაფერად დანახა სწავრული ქართულის ალექსანდრე ონიკაშვილის ნაშრომი კვერი, რომელსაც ხმარობენ თურქე სწავრულში გარდასწავლული ქართველები. ნიკო ავალიშვილმა გააკეთა ეს კვერი, რასაკვირველია ზოგი თავისი დაუმტაცა, და მონადირე ჯერ ცალკე ამ კვერის გამოცდა.

სუთ სეკტებერს ეს კვერი მოიტანეს კალაშე, სადაც იყო ჩაშლილი ურემ-ნახევარი ძნა. ამ კვერში შეაბეს ერთი ცხენი და კვერზე დაუკდა თვითონ ნიკო ავალიშვილი. ცხენი ძრიელ თავისუფლად დაახრიალებდა კვერს; მეც ზედ შევუდექი, მაგრამ მანინ კიდეც ცხენი სრულიად სიმძიმეს ანა ჭკრძნობდა და თავისუფლად დაგვარბევინებდა.

ამ დროს იქვე ჩვენ მეზობელსაც ება კალო, რომელსაც იმდენივე ძნა ჭქონდა ჩაშლილი და ება ერთი ცხენი და უღელი ხარი, (ე ი. ორი კვერი). რასაკვირველია ახლა უფრო ადვილად გავიკებდით, — ეს ახალი კვერი რამდენად ჩქარა და კარგა გალწავდა, რადგანაც შესადარებლად იქვე თვალ-წინ ჩვენი ჩვეულებრივი ქართული კვერი მოქმედებდა. მეზობელმა შეაბა დიდის შვიდ საათზე, ხოლო ჩვენ რვა საათზე. ორივემ გავათავეთ ღვწვა ნაშუადღევს ოთხის ნახევარზე; მაგრამ აი რა განსხვავება ვჭკვავთ: ამ ახალ კვერში ნახში ცხენი ჯათას არ იმცნებდა, გამოშვების შემდეგ სრულიად არ ეტყობოდა კალოში ბძულა თუ არა, მაშინ როდესაც ჩვენის ქართულის კვერის თრევით მეზობლის ცხენი საშინლად მოქანცული იყო. ბზე ახლის კვერით გალწვილი ძრიელ რბილია და მუხლებშია დაჩქვნილი, ასე რომ ჩელხი ძალიან ცოცა ახდევს;

ამ ბზეს საქანელი ზედ დააკვდება, ერთს მუჭასაც არ გაუშვებს ბაგაში შეუჭმელს. ქართულის კვერით გალწვილი ხმელაა, ხელი რომ მოავლოს კაცმა, ჩხვლეტას დაუწვეებს ხელში, მაშასადამე საქანელსაც დაუწვეებს ზირში ჩხვლეტას: ეს არის უმთავრესი მიზეზი, რომ ზამთარში საქანელი ნახევარზე მეტს ბზეს ჭსტავებს ხოლმე ბაგაში შეუჭმელს. ეს ახალი კვერი ზომიერი სიდიდისაა (აქ უნდა ვჭსტავა, რომ ავალიშვილს კიდეცაც ზატარა გაკეთებინა). როგორც გამოვცადეთ, ერთი ამ კვერის ნაღწვი უდრის სამს ქართულის კვერის ნაღწვს, ბზის უკეთესობით. ერთ ცხენს შეუძლიან ამისთანა სამი კვერი თავისუფლად ატაროს, ასე რომ ცხენს ანავითარი ძალა არ დაადგება. ვინც ნახა, ყველა გლეხმა მოიწონა ეს კვერი. ეს კვერი იმითაა უფრო კარგი, რომ მეტად უბრალო რამ არის, ყველას შეუძლიან ამისი გაკეთება. მარხილსა ჭკავს, მარხილივით აქეთ-იქით ხელნები აქვს, თავი ვიწრო, ბოლო განიერი; სელნებში ღერძებია გაყრილი, ღერძებზე არის ასხმული თხელი რკინის ზირანი გოგორები, რომლებიც ღერძებზეა დამატებული და მოქმედობის დროს ღერძები ხელნებში ტრიალებენ. ხელნები ძალდა ჭსდვას, ზემოდამ შეკრული ფიცარი ჭხურამს, რომელზედაც კაცი დაუდგება. სულ აქვს ექვსი ღერძი და ოც-და-თერთმეტი გოგორა, მაგრამ საჭიროა შვიდი-რვა ღერძი და ორმოცი, ორმოც-და-ათი რკინის გოგორა. ბოლოზე აქვს თვითონ ავალიშვილისგან მიმტებული საქცევი ფიცხი; შემდეგ ორთითო ქცევისა გაუკეთდება ეს ფიცხი და მუდმისად თვითონ უქცევს ძნას. ეს ფიცხიც ღერძებზეა გაკეთებული, ბოლოზე დატრიალებს, როგორც ზირველი ღერძები. ერთის სიტყვით ნ. ავალიშვილმა თავისი მანინა-კალო რომ როგორმე ვერ მოავკაროს, მანინ საგარეჯოს საზოგადოება იმასაც დიდად დაუმაძღვებს, რომ ეს კვერი შემოადლებინოს ჩვენ საზოგადოებას. ზირველად საქანელს გამოისხნის იმ ტანჯვისგან, რა ტანჯვაშია ჩვენს კვერებში არიან ხოლმე, დილიდგან საღამომდინ ათრევენ კოხიან ფიცარს და სულები ხდებათ; მეორეთ, გამოისხნის მძიმე შრომისგან თვითონ დედაკაცებსაც, რომლებიც ეხლა მუდმისად დგანან კალოზე თან უქცევენ და თან უსწორებენ კვერისგან ასევეტილს ძნას. ამ ახლის კვერისგან დახვეტა შეუძ-

ლებულია. ვინაც სურს ნახოს ნიმუში ორთავე კვების ნაღებების ბუნებისა შეუძლიანთ მიჭმართან თვითონ ნიკოლოზ ავალიშვილს და მასინ დარწმუნდება, თუ რა სასარგებლო იქნება ამ ხალხის კვების შემოღება.

ა. კავთელი.

ზ ა კ ვ რ ი თ.

(შეძვევა)*.)

სხვათა შორის ჩვენს მთის ხალხში შეკლებსა აქვს ერთნაირი დაბრკალება, რომლის გამოც ძვირად წავა იმათი (შეკლებისა) საქმე სვირინად. მე ვამბობ აი რა დაბრკალებაა: ჩვენი მთის ხალხი ალაგის უქონლობის გამო არის ძლიან გაფანტული, ასე რომ, მაგალითად, მთელს ფშავის სვეში ძვირად იქმნება სოფელი, რომ ოცი კომლი იდგეს ერთად. ზოგს სოფელში დგას ორი კომლი, ზოგან სამი და არის ისეთი სოფლებიც, სადაც თითო კომლის მეტი არ არის. ეს სოფლები ჯერ არ არიან ერთმანეთსედ ძლიან ახლო და მეორეც ღელე-ღულე გზები უფრო აშორებენ ერთმანეთისაგან. რადგანაც შეგირდებს ძვირად შორიდან მოხუცდებათ სიარული, ასე რომ ძლიან გაუჭირდებათ თავიანთ სასაღებო-გან შეკლასში მისვლა, ამის გამო ცხადია, რომ შეკლის საქმე ძვირად უნდა შეიფარდეს. თუ ამას მიუმატებთ, რასაინ ორი თოჯლი და სიტყვები იცის აქა, საგმარ იქნება, რომ ალანა გვერდეს ეჭვი ესლად ნათქვამში. და აი ამისთანა სოფლებში არსებობენ სასოფლო შოკლები. მე ვიცი, მაგალითად, ფშავის სვეში სოფელი, სადაც მარტო სამი კომლი არის: მღვდელი, დიაკონი და მსწავლეები და ამ სოფელში არის შეკლა. ის გარეშემო სოფლები, საიდგანაც შეუძლიანთ შეგირდებს სიარული ან შეადგენენ სუთმეტ კომლსა, ან იმასაც ვერა. ბევრით მომეტებული ნაწილი ამ შეკლის შეგირდებისა არიან სხვა შორეულის სოფლებიდან. მართლაც და რომ დაფიქრდეს გაცი, საცოდაობის სასილგებელი არის ამათი სწავლა. მზათს რომ გათავდება გაკეთილები. უნდა წავიდეს შეგირდი შინა, დაარქვინოს, დააკრებინოს, წამოიღოს კვირა დღით თავისი ერთი კვირის საცაღი და წამოვიდეს. რა შეადგენს იმის ერთის კვირის საცაღსა? გამხმარი ხმიადი, რომელიც უფრო სმებაერთის კვირის განმავალაობაში

ღობი ეკიდება. თუ ამას მიუმატებთ ისეთსვე გამხმარს კალტს (ვეკლის მსგავსია, მაგრამ ისეთი სმელი, რომ ურინს რომ თავადარტყათ, გაქრისტიანდება), მასინ ჩამოთვლილი გვიქმინება საზრდო, რომლითაც იმულებულია იკვირებს საწყალი შეგირდი კვირითი-კვირამდენ. არც მეტს სასურველს სურათს წამოკვიდგენს იმისი დღე და ღამის სადგომი. შეკლას სხვენი, რომელსაც შესავლათა აქვს იმოდენს ჩუხრტანა, რომ კაცს ძლივს შეუძლიან წავლებით შემოქმად, სადაც მუხლამდინ ჩავარდება კაცი ნავაში და მტკვერში; სადაც ზამთარში სიტყვე გაუჭირებს კაცს საქმეს და ზაფხულში სიტყვე, რაც გინდა უტკმინობელი ატეულებიან იყოს; თავით ქვა, ანუ შეშის ნახები და ზედ ან ნახადი და ან ტყავი, აი ამ შეგირდების ზამთარ-ზაფხულის სადგომი, საგები და სასურველი სახელდობრ, იმ შეგირდებისა, რომელნიც თავიანთ სასაღებო-გან ვერ დადიან სიშორისა გამო. მართლაც უფალი შეკლას ესეთი არ არის, მაგრამ მე მინახავს და ესლად არსებობს ესეთი შეკლა. უფრო, მკითხველო, შეგირდის მოთქმენას! რას არ ითქმენს საწყალი ემაწვილი, რომელიც ვი ასწავლენ რამე! ნუ თუ ღიბსი არ არის ესეთი სასიანთის შეგირდი, რომ მიიღოს მადლიანი სწავლა, და არა ის უგუდმაროთი, ცრუ ზედადღიურო რასაც ესლად ეძახიან ახლად ზედადღიურს სწავლასა! იტანჯება საწყალი შეგირდი, იკლავს თავს რუსულ ფრანგებსედ, დასწავლის რამდენსამე იმათგანს და ეს სულ რისთვის? რისთვის ატარებს თავის სიტყვების საუკეთესო დროს იმისთანა ძალ უმადურს ცხოვრებაში? მხოლოდ იმისთვის, რომ გამოვიდეს შეკლადამ და ისე სამუდამოდ დაკარგოს, ის ფრანგები, რომელნიც დაჭკარვან იმან თავის სიგამწვილის საუკეთესო დრონი!



ამ სამიოდე წლის წინად სად იყო, ვინა ჭინავდა კახეთის სოფლებში შეკლებს? ესლად რომ გაიარათ კახეთში, გაგაკვირვებთ შეკლების სიმრავლე. ეს რასაკვირველია, ძვირად სასიამოვნო ამბავია და კიდევ კვირვინებს იმ გარემოებას, რომ ჩვენს დაბაღს ხალხშიაც გავრცელდა სწავლის საჭირება. უნდა ისიც ვსთქვათ, რომ ჩვენი ხალხი დიდის სიამოვნებათ და თითქმის სელგანზრებით მიუგება ამ შეკლების გამხრთვასა. მაგრამ, ვაი თუ აქაც ის იქმნას, რაც ხალხის თავს ძვირად სმირად მოუგას ხოლმე: ისევ მალე გაუჭირდეს გული იმ საქმესედ, რომლის დაწყოლებსაც ესე მხიარულებით მიუგება ეს რომ

*) ივერია № 29.

ესე მოხსნეს, თუ მომხდარიც არ არის, ამასი სჯლის
 არადეს არ იქმნება დამნაშავე, არამედ ის პირობა, რომ
 მელთ სელშიც არის ამ საქმის წარმოება. რა საჭიროა
 იგაგებით დაზარალება: საქმე იმაშია, მომეტებული ნაწილი
 ვახეთის სასოფლო შრომების მასწავლებელთაგანნი მოემ
 სადებულნი არიან თავიანთ საქმის რიგის წასაყვანად. ეს
 გარემოება შეუძლებელია, რომ არ გამოხდეს სჯლის
 შესრულებას. შესახებ შრომის საქმისა არის ერთი
 დონისიება, რომელიც ამ სენს შეგვიძლიან წავართოთ
 ძალა, — ეს დონისიება არის მასწავლებლების შეყრდილობა
 ყოველს ზედხელს და იმათი ვარჯიშობა.

დ. რ.

(შემდეგი იქნება.)

მ ვ ი ს ა მ მ ე ბ ი .

აქანუბა გუნიბიდან 9 ენკინსთვეს ყაზიგუთისისა
 და დარგის მზრუნველ მასდებია. აქანუბუღნი ყუბუ-
 ხის მზრუნველნი გამგებანს დასტეიან და სრულიად ამოუწ-
 უტიათ. ამასში დაღუბულნი შრომარები იქმნები,
 გამგებანს მოხელენი და რომელიცა თამდე ჯარის-გატი.
 11-ს ენკინსთვეს არეულობა სამხრეთ დაღესტანშიცა გა-
 ხინია, სადაც აქანუბუღა ტახსარანის მზრუნველნი
 დროს თ. ნაკაშიძის და ტერ-საატურის მარჯვე გუნდებს
 დაუმარცხებთ რამდენიმე ადამიანს აქანუბუღნი და სსკა-
 თა შორის სოფ. ლავაშთან გაუფრთხილეთ ექვსს აქანუბ-
 ბულთა გროვა და მით შუა დაღესტანში თითქმის სრუ-
 ლად შეუწყვეტიათ არეულობა. ჯარი შემდეგ კარტანის
 მზრუნველნი წავიდა, სადაც ყოველი დონისიება არის სმა-
 ბული შუა-დაღესტანის აქანუბების მხარისაგანად. უკლ:
 ამ საქმეში ხუთის მხრით სუთი ჯარის-გატი მოკლული,
 და დაჭრილთა შორის სამურსკის შრომის ზედხელნი
 შრომარები, შრომარები ბიკოვსკი და 40 ჯარის-გატი
 (მათ შორის მილიციონერებიც).

— 15 ენკინსთვეს დენოვალ-ტერდუკასოვისა და
 იზმილი-ოქის ჯარითა შორის ბრძოლა გამართულა. ს-
 მალი თვის ჯარი რუსის ჯარს დასტეიან, მაგრამ ხეივანს
 უფრო უძევიათ და დიდი ზარალი მიუტიათ. ხეივანის
 მხრით თქვენსკი ჯარის-გატი მოკლულა და 148 დაჭ-
 რილა. გარდა ამისა დაჭრილთა შორის არიან: დენოვალი
 დეკლი, გუბინსკის შრომის უფროსი შრომარები და კა-

ბენინი, ზედხელნი სტარცკი და გუსეინოვი; სტარ-
 ცკის შრომის შრომარები გოლოვინი; დენოვლის
 შრომის შრომარები სმირონოვი; არტილერის შრომ-
 არები ვოლკოვსკი და შრომარები ლიბინსკი. გააწერულ-
 თა შორის: გუბინსკის შრომის ზედხელნი მდივან-
 ნი, შტაბს-კაპიტანი ბაქანოვი, ზედხელნი გუბინსკი,
 და არტილერის ზედხელნი გოლოვინი.

— 10 ენკინსთვეს ოსმალის ათი ათას ქვეთა
 ჯარს თვის არტილერით, რომელიც სოფლის გზად
 მოძრაობდა, უფრო უძევია რუსის ცხენოსანი ჯარი და
 ლეკვანს შესულა.

გარდა ამისა ვიდრინადმ შლეპინსკი დაძრულა
 ერთი გორბუსი ოსმალის ჯარი, რომელიც — თუ მარ-
 თალია გახეთის Голос-ის დეპუტატი — წინ რუმინის
 ჯარი დახვედრია და ბრძოლა გამართულა. ჯერ არავის
 იცის საქმე რით გათავებულა.

იმავე გახეთის დეპუტატი გვაცნობებს, რომ რუსის
 მთავრობას განკარგულა მოურსდენი ბოლოვანში რეი-
 ნის გზების გაყვანისათ.

— დუნაის მთავარ-სარდლის განკარგულებით ინგ-
 ლისის გახეთის Standart-ის გარეგნულად, უფ-
 ბოილი ბანაკიდან დაუთხოვნიათ. ამის მიზეზი ესა
 იყო: უფ. ბოილს პატივსანი სიტყვა მიუტია, — არაფერს
 არ დასწერ ჯარის განწყობილების შესახებ, და თავისი
 სიტყვა გაიწერა რუსულად. გარდა ამისა, დიდი მტრობა
 გამოუჩინა თურქე რუსის მხედრობისადმი, რომელს
 შესახებ რამე უწერია.

— რუსის გახეთის Голос-ს ვინიდან 19 სე-
 ტემბერს შემდეგი დეპუტატი მოსვლია: კუბინსკი
 ცნობა მოვიდა, რომ ბეკოვდონის ცესარევის დაშქარს
 დაუმარცხებია მეტად-ალი (მთავარ-სარდლი ოსმალისი)
 ყანა ლომოვად. ოსმალთა რამ ათასი გაცი დაჭრილ-
 ბიათ.

— გახეთი Neue freie Presse-ს შემოდიან
 ჭსწერენ, რომ რუსის თარეში ჯარი ჭსდენის ოსმალის
 ჯარსა, რომელიცა ზანკოდამ უკან დაუწვიან. 13-ს
 სექტემბერს რუსის ყანასებამა ყანაცგი დაიხურეს.

— ნამდვილს წყაროდამ შეუტყვიანთ, რომ სერბის
 მალე მიიღებს ომში მონაწილეობას. ამბობენ რისციის
 (სერბის მინისტრის) ოსმალისათვის მოუთხოვნიან, რეგენს
 სამხედროსკად მოგროვილი ჯარით უკანვე წასსითო
 თარეში კვ ომის მიზეზად შეიქნება.

— 20 სექტემბერს ჩვენებს მუხთარ-ფაშაზედ ძე-
ლისან გაუმარჯვნათ ჩვენებს, აუღიანთ დიდი იაღნი.
მუხთარ-ფაშა გარშემოტრეპულია ჩვენის ჯარით, რომელ
საც უარსისავენ მუხთარისათვის გზა გადუჭრიათ. რსმა-
ლებს ხუთი ათას კაცამდე დაჭზა:ლეუიათ, ახ რომელი
ტყვეთ დაუჭრიათ. ქალი წინამძღვანი ცხენოსანთ ბედუი-
ნებისა უარ-ფაშა მკვდარი უზოვნათ. ჩვენგანნი ათას
ხუთასამდე დაჭრიათ მოკლულთა, რიცხვი ჯერ ცნობაში
აჩ არის მოყვანილი. ჯერ კიდევ რძი მიდისა.

საზოლიტიკო მიმოხილვა

საზრანბეთი. მომავალ აჩჩვენისათვის მთავრობას
როგორც მოგვსენებათ თავისი კანდიდატები ჭყავს წა-
მოყენებული და ყოველ დონისძიებსა ხმარობს, რომ
ხალხმა უსათუოდ ისინი ამოარჩიონ დეპუტატებად. მაგ-
რამ ვაი ამ კანდიდატებს! ამათ თვითონაც არ იციან რა
პოლიტიკის წარმომადგენელი არიან და რა გზას უნდა
დაადგენ მამაკალში. ყოველს კანდიდატს მტკიცე მხედ-
ველობა და წმენა უნდა ჭქონდეს და ჩვეულებად მიღე-
ბულია რომ ყოველმა კანდიდატმა თავის ამომჩჩველებს
თავისი თავი უნდა გააცნოს, უნდა აცნობოს თავისი ჭზარი
თუ დეპუტატობა ჭსურს. მაგრამ ამ მხრით მაგ-მაგონის
კანდიდატები დიდსა ცოდანობაში არიან. ამას გვიმტკიცებს
სხვათა შორის შემდეგი მაგალითი. ამას წინედ ლილ-
ადამს, ესე იგი იმ ქალაქში, სადაც—თუ გახსოვთ ტიერმა-
ფიცხელი სიტყვა წარმოსთქვა უფ. სენარის სასარგებ-
ლოდ და ურჩია ხალხს სუნიჩი ამოიარჩიეთა,—ლილ-
ადამს მეთქი ყრილობა გაიმართა უფ. დეჩენინისათვის,
რომელიც მთავრობის კანდიდატია და სენარის მოცილეა.
რა არის უფ. დეჩენინი ან რა პოლიტიკის კაცი, — ეგ არა-
ვინ არ იცოდა. ერთი აგვისსენ შენი პოლიტიკა, გვი-
ჩვენე შენი აზრით, ეუბნებოდნენ ამომჩჩვეულები. მაგრამ
უფ. დეჩენინი მარტო ამას იძახდა: ჩემი აზრი მარ-
შალი და კონსტიტუცია, მე მწამს კონსტიტუცია;
1880 წელს ვი (როდესაც მაგ-მაგონს პრეზიდენტობის
ყველი გაუთავადება) ხალხს მივმართავო და კკითსავ რას
ისურვებსო, სთქვა ბოლოს დეჩენინმა. — მაშ რადად
გვატყუებო, მიუტაც ამომჩჩველებმა, რომ შენ კონსტი-
ტუციის მომხრე ხარო. კონსტიტუციაში ცხადად არის
გამოყვანილი, თუ რა გზით განიხილება ჩემიეორედ
კონსტიტუცია (ე. ი. რჩივე პალატის მიერ საერთოდ)
მაშ შენ თვითონაც არ გესმისო ის კონსტიტუცია, რომ-
ელიც გწამსო. რესპუბლიკელი ხარ თუ არაო, ჭკითსეს
ბოლოს დეჩენინს. — მე კონსერვატორი ვარდავარო, უზა-
სურსა დეჩენინმა. — ძალიან გარგი, მაგრამ კონსერვატორი
რესპუბლიკელი, თუ კონსერვატორი — მიხარჩხილი?

ხარცივდენ ამომჩჩვეულები საწყალს დეჩენინს. — მარშალსა
ჭკითსეთო, წამოიძისა ბოლოს დეჩენინმა, საქმე რომ გა-
ჭირდა. აი მართებული პასუხი სწორედ ეს არის. მაგ-
მაგონმა წამოაყენა თავისი კანდიდატები, ურჩია ხალხს
ესა და ეს ამოიარჩიეთო; ხალხი ჭკითსავს ამ კანდიდატებს, —
გვიჩვენეთ თქვენი აზრით, აგვისსენით თქვენი პოლიტი-
კაო, და ესენი ვი ეუბნებიან ჩვენ თვითონაც არა ვიცით
არაო, მარშალსა ჭკითსეთო. ბარაქალა! მაგრამ როგორც
ეტყუება მარშალსაც საუბედუროდ, ბევრი არა ესმის რა
პოლიტიკისა. ახ მართლაც კკითსოთ მაგ-მაგონს, — რა პო-
ლიტიკას მისდევს. ამისათვის მის მანიფესტს უნდა მი-
მართოთ ჩვენი ყურადღება, რადგანაც, რაღა თქმა უნდა,
რაც ვი ძალა, სერსი და ჭკუა ჭქონდა მაგ-მაგონს,
სულ მანიფესტში გადმოაღებდა. წარსულ ნომერში შე-
მოკლებით მოგასსენეთ ამ მანიფესტის შინაარსი. ესა
სიტყვა სიტყვით მოგასსენებთ ამ ლილ-შეს-ნიშნავს სა-
უნჯეს მაგ-მაგონის პოლიტიკისას. აი ის მანიფესტი:

ყოფანციენლო! თქვენ ძალე მოგისდებათ დეპუტატ-
თა პალატის წევრთა ამოარჩევა. მე აზრათაც არა მაქვს
არჩევანის თავისუფლებას გზა შეუშალო; მაგრამ მე მსურს,
რომ საქმე ნათლად გიდგოთ თვალ-წინ და ამიტომ თქვენ
უნდა იცოდეთ თუ რა გავაკეთო რის გავკეთებ მსურს და
რა შედეგი ექნება თქვენ საქციელს და მოქმედებასა.

მე გავაკეთე შემდეგი: ოთხი წელიწადი მშვიდო-
ბიანობას ვიცავდი. უცხოეთის სემწიფიებებს საკუთრად
ჩემი ნდობა აქვთ, და ეს ნდობა საბუთს მამლეკს უფრო
მკვიდრად დავიმუცობრო სხვა სასულწიფიებში. ამ მშვი-
დობიანობისა და აგრეთვე იმ კაცთა მოღვაწეობის ძალით,
რომელნიც გარს მესვებენ და ქვეყნის სიკეთისათვის
ზორუნავდენ, ჩვენის ქვეყნის კეთილ მდგომარეობა, დრო-
ებით შეიკრებოული, ისევ წარმატებაში შევიდა. თუძრა
ხალხს მძიმე გარდასასადა აწუსებს, მაგრამ მანინც ხალხის
სიმიდრემ იმატა, ხალხის ყისტი, ესტიბარი (კრედიტი)
დამკვიდრდა. საფრანგეთს თვალწინ უდგა ღირსეული და
განასლებოული მხედრობა. ყველა ამ ნაყოფს ერთი შიში
მოჭყვა. დეპუტატთა პალატი თან და თან დაუშორდა
ზომიერ შიროთ, უფრო და უფრო აჭყვა რადიკალების
დასის მოთავკებს და ბოლოს იქამდისინ მივიდა, რომ
უარე ჭყო ჩემდა კუთვნილი უფლება, რომლის დამცირე-
ბას ვერას გზით ვერ შევიწყნარებ, თუ რომ სასკლას
დაცვა მინდა თქვენსა და ისტორიის წინაშე. დეპუტატთა

სადაც ქსურდა უგუგლო სენატის ზედმოქმედება მმართველობაში და მით დაედგინა დესპოტობა. მეტის მოთმება და შეწინააღმდეგება აღარ შემოქმედდა. მე აღვადგინე ჩემი უფლება და სენატის ნება დართვიით დავშალე დემოკრატიული პარტი.

ასედა თქვენ უნდა აღიაროთ თქვენი აზრი. ნუ დაიურებთ, რომ მე რესპუბლიკის დარღვევა მსურდეს. მე ვარ კონსტიტუციის მოწინააღმდეგე და შევიძლება ვიდეც სხვა-სხვა პარტი ვაგრძელო კონსტიტუციისათვის. თქვენგან ვიმოკლე იმ გვარის პარტიის ამოწმებას, რომელმაც უნდა იზრუნოს მთელის ქვეყნის სარგებლობისათვის და არა მარტო ერთის რომელიმე დასისათვის. უკანასკნელ წლებში ბევრი მოქმედებდა ჩემის სასულით, მაგრამ ბოროტად მოქმედებდა: იმ კაცთა შორის, რომელნიც ჩემს მომხრეთ ითვლებოდნენ, ბევრნი გამიძვდნენ და, როგორც ჩემი მოწინააღმდეგენი, მებრძოდნენ. ესედა ამბობენ, რომ ჩვენ მხოლოდ შინისტრებს ვებრძვიით და არა მარშალსა. მაგრამ ნუ მოსტუყვდებით. მოაზრობა თვითონ ვიხვეწებთ იმ კაცებს, რომელთაც შეუძლიანთ ჩემის სასულით იმოქმედონ. თქვენ ვარჯად უნდა იტოდეთ იმ კენჭის მნიშვნელობა, რომელსაც მიჭსტვით ერთს თუ მეორეს, აჩვენის დროს. აჩვენის, რომელიც ჩემის პოლიტიკის თანახმა იქნება, ჩემს მომხრეობას გაუდვილებს საქმის წარმოებას, დაიცავს უფლებების დედა-აზრს და მკვიდრებს წესიერებას და მშვიდობიანობას. ის აჩვენის ვი, რომელიც ჩემის პოლიტიკის მოწინააღმდეგე იქნება, პირიქით უფრო გააფრთხებს აწმყო ბრძოლას, შეურაცხებს გზას ვაჭრობას, დაჭაბავს იმ გვარ მდგომარეობას, რომლის გამოც თვით ვერაშა ეჭვში შევა.

ჩემდა შესახებ უნდა მოგახსენოთ, რომ რამდენიმე იმატებს შიში, იმოდენად უფრო მტკიცედ დავადგები ჩემის მოკლეობის აღსრულების გზას. მე არას დროს არ დავისვენებ რადიკალების წინ და არ დავთმობ იმ თანამდებობას, რომელიც კონსტიტუციამ მომანდოა მე. მე დავრჩები ჩემ ადგილას, რომ დავიცვა, სენატის შემწეობით, კონსერვატიული მოთხოვნისა, და შემწეობა მივცე სასულითოთა ერთგულ მსახურთა, რომელთაც თავი შეიძგრეს და არ შეუშინდნენ ტყუილ-უბრალო მუქარას.

ფორანტიონო! მშვიდობიანად მოველი თქვენის გმობის აღიარებას. საფრანკეთს, ამოდენა განსხვავების შემდეგ, ქსურს სიმტკიცე წესიერება და მშვიდობა.

ბიანობა. დგოის მადლით, ჩვენ დაუწყვიდრებთ მას ყველა ამ სიკეთეს. იმედი მაქვს თქვენ დაეწმუნებით იმ სალდათის სატყუას, რომელიც არა დასს არ ეკუთვნის, არც ემსახურება არც რევოლუციის გულის თქმას, არც რაქციისას, და რომელიც მხოლოდ მამულის სიყვარულის ძალით შეიქმნა თქვენდა მოთაგედ.

აი მარშალსაც ვეითხეთ, მაგრამ მინც არ ვიცითო. დეპუტეინი რესპუბლიკეის თუ არა. ვემოსხენებულა პანიფესტში ზვიადობის მეტი არა არის რა. მექე იმისთანა ზვიადობაა, რომელიც ხალხს გულს უმღვრებს და უბოროტებს. მაკ-მაგონსაც უთუოდ ის უნდა, რომ გააბოროტოს ხალხი გულზედ მოიყვანოს და აჩუღობა რამ სატყუანის. მაშინ მაკ-მაგონი ხმალს ამოიღებს და იტყვის: აღარც ესედა საჭირო წესიერებისა და მშვიდობიანობის დასაცვლად ხმლის ამოღება... მაგრამ ვაი მისი ბრალი, თუ ხალხმა მშვიდობიანად და გულდინჯად მის პოლიტიკას შავი კენჭი ჩაუგდო. ჩემს თანამდებობას თავს არ დავანებებო, ამბობს მაკ-მაგონი. თუ ეგრეს, მაშ თოფ-იარაღზედ მივარდება საქმე. თუ თავის ნებით არ ჩამობანდება პრეზიდენტის ტახტიდან, ძალად ჩამოაბანებენ. ხმლის გარდა, ჭკუაც რომ ჭქონდა, მაკ-მაგონი არ გამოაცხადებდა ამისთანა მანიფესტს. ესედა თვითონვე თავის ხელით ითხრის თავისის პოლიტიკის სამარქსა.

ამ მანიფესტის წინააღმდეგ გაზეთს Republique Française თავის მხრით გამოუცხადებია მანიფესტი, რომელიც არღვებს და უარ-ჭყოფს ყოველ მუხლს მაკ-მაგონის მანიფესტისას.

— გრეეს თქვენსადაც არა ჭქონის უარის თქმა რესპუბლიკეისა დასის მოთავობის შესახებ. სულ თვითონ მოთავობას გამოუჭირავს, აგები რესპუბლიკეებს იმედი გაუწვიტოვო. გრევი არამც თუ უკან არა დგება, არამედ კანდიდატობაც მიუღია პარტიის მერვე მარშალის წარმომადგენელად ტიერი იყო.

ამსტრი მენბრი. საშინელი დედაა თუჩქე ამი უამად ავსტრი-ვენგრიაში ვენგრიელებს ხომ ძალიან უყვართ რამდენები და ყოველ დონის-ძიებს ხმარობენ, რომ თვით. მოთავობაც აყოფიონ და რუსეთის წინააღმდეგ გზაზედ გამოიყვანონ. არც ერთს მცირეს შემთხვევას არ ქსტოვებენ ხელიდგან, რომ არ აგრძობინონ.

მთავრობას თვისი მტკიცე სურვილი და მიდრეკილება. აი, მაგალითებ, ერთი შემთხვევა: 30 მაინამობასთვეს, ჩვენის ხელმწიფე იმპერატორის დღეობას ავსტრიის იმპერატორს სადილი ჰქონდა, რომელზედაც მიწვეულნი იყვნენ, სხვათა შორის, რუსეთისა და ოსმალეთის სამხედრო აგენტებიც ავსტრიის იმპერატორმა დალია სელმწიფე იმპერატორის სადღეობებზე და მოისხენია თურმე იგი როგორც თვისი „მეგობარი და მოზაკე.“ ამ სიტუაცზე მ. ო. ა. ვ. ე შეუდგათ ვერტიკლებს ერთი საშინელი ქოთქოთი, როგორ თუ მოზაკე? მას ავსტრიის იმპერატორს წინადაცე თავისთავის სელ-თეხი შეუკრავს? მას მართლაც პირველად უფიქრად ოსმალეთს იმპერატორთან შორის დადგინილი? მასინვე გაიმართა რამდენიმე ალაგას მიტინგი რუსეთის წინააღმდეგ. ოსმალეთის აგენტს დიდის აღტაცებით მიეგებნენ ვერტიკლები ქუჩაში და უფროდნენ: „რა უმარჯოს ოსმალეთსა“ შემდეგ ოფიციალურ განკეთებმა გამაცხადეს, რომ იმპერატორს არ მოუხსენებია სიტუაც მ. ო. ა. ვ. ე, მაგრამ ვიღა დიფერენტია.

ნ სეკტემბერს ვერტიკლის სატანტო ქალაქშია, ზემტში, დიდი ამბავი უფიქრად. შუადღის ათს საათზედ უოკელ გუთსეზედ ჩამოუვიდნათ განცხადება, რომლითაც სამოქალაქო კომიტეტი იწვევს ზემტის მცხოვრებთა ბაიონეტები გამოფინათ და სადამოხედ მშვენიერი ჩინადანი გაემართათ ოსმალეთის გამაჩვენების სასასკლად. ამ განცხადებაში, რომელშიაც არა ერთი ტყუილი ურეკია, მოხსენებულია შემდეგი: „მამულის შვილნი! მარადმა სამართაღმა, რომელიც ხალხთა თავისუფლებასა და ბედის დამცველია, თავისი გაიტანა. ესლა აუსრულდა ვერტიკლის ხალხს მისი გულისთადი სურვილი და მარადი ნატვრა. ჩვენმა მმ-ხალხმა ოსმალეთს, რომელიც იბრძვის არა მარტო თავის არსებობისათვის, არამედ კაცობრიობის უწმიანდესთა უფლებათათვის, გაიმარჯვა. ოსმან-თაშამ ზღუენასთან დაამარცხა არამც თუ მარტო თავის სამშობლას მტერი, არამედ უბოროტესი მტერი ცივილიზაციისა (ძალიან არ გაბრზებულან ეს ვერტიკლები). სულეიმან-თაშამ აღმართა და დაადგინა (ჯერ არც აღუმართავს და არც დაუდგენია, როგორც მოგეხსენებათ) შიბაში არამც თუ მარტო ოსმალეთის დროშა, არამედ მარადის სამართაღის დროშა. მუქმედ-თაშამ მდ. იანტრასზედ ჰსდგენის რუსებს. მუსთარ-თაშამ აზია მტრისაგან განათავისუფლა.

სეთი სახელგანთი ღვაწლი ოსმალთა მთელის კაცობრიობის მადლობის ღირსია. ვერტიკლის ხალხმა უფრო ღირსეულად უნდა იდღესასწაულოს ოსმალთა გამაჩვენება, რადგანც ვერტიკლის ხალხი თავიდანვე მიუდგა ოსმალთს ხალხს, ესე იგი იმ ხალხს, რომელიც თავისუფლებას იცავდა და რომელსაც უკელა გადაუდგა. ზემტის მოქალაქენი! ვთხოვთ გამოფინათ ბაიონეტები თქვენ ბანკონზედ და განხალთ თქვენი ფანჯრები დღეს სადამოს შვიდ საათზედ. შეკრიფენით აგრეთვე სადამოხედ კალკინის მოედანზედ, რომ აქედამ მთელი ქალაქი დაიღოს და ამით მოვიაროთ. მამულის შვილნი! ამას წინადაცე მწუხარებაში გიყვავით, ესლა კისინამოფინათ და ვიღოსინათ.“ ამ გამოწვევამ ტყუილად არ ჩინარა. დიდის უფიქრად იდღესასწაულოს ვერტიკლებმა ეს დღე. ბოლოს მიტინგიც გაიმართა, რომელმაც მისაღობაცი ტელეგრამა გაუგზავნა ოსმან-თაშას, სულეიმან-თაშას, მუქმედ-თაშას, მუსთარ-თაშას და აგრეთვე კომუტანტს.

ვერტიკლების ამ გვაჩი მხარობა ხუმრობა არ არის ავსტრიის სახელმწიფოთათვის. ვინიცის, იქნება ვერტიკლებმა რეკლამითაც მოუხდინონ თავის მთავრობას. ჯერ-ჯერობით გი ამ მომართას და მხარობას დიდი სიმტკიცე და ერთობა ეტყობა. ვერტიკლებს უნდათ ჩანგონონ მთავრობას თავისთი საპოლიტიკო გომონება და, ვინ იცის, იქნება აუსრულდეთ წადილი კიდევ. ჩვენ — იწვევს ერთი რუსის კორრესპონდენტი — მოლოდ ერთი მომხრე გვევას ავსტრიისში, სახელდობრ, ხელმწიფის ვაჩი და ანდრასის დიპლომატი.“ მაგრამ უბედურება ის არის რომ თვით მთავრობის მომხრე გასეთები ამ გვარად ღაზარაკობენ: ერთი ცვარან დაღვრა ავსტრიის სისხლისა რუსეთის სასარგებლოდ დიდი დანამუხლბა იქმნება. რამავე დროს — ამბობს შემოხსენებული კორრესპონდენტი ბისმარკს სელში ჰუავს ანდრასში, და მთელი მწერლობა ევროპისა ღაზარაკობს ამ უამად მორიგებაზედ.

დიდ განსაცდელშია ავსტრი-ვერტიკლის მთავრობა. უოკელ მხრივ უნდათ როგორმე აცდინონ და თავისაკენ ჩაითრიონ. აი, მაგალითებ, ვერტიკლის პარლამენტში რამდენიმე დეპუტატმა პასუხი მოქსთსკვა მთავრობას გაკრეპე პოლიტიკის შესახებ, და რაღა თქმა უნდა, რომ ცხარე ბასი გაიმართებოდა. ამ გვარევე წინადადებანი შეტანილ იქმნენ ავსტრიის რეისხატშია.

— გასეთის Голос-ის კორექსიზანდენტა იწე-
რებს, რომ ვენგრიაში რაღაც შეთქმულება აღმოუჩენიათ,
რომელსაც ჭქონია თურმე განზრახვა ვენგრიელთა ლე-
გიონის შედგენა და რუმინიაზედ დაცემა. ეს ლეგიონი
უნდა მისდგომოდა იმ ხაში-ბუზუგებს, რომელნიც ერთს
დუნაის კუნძულზედ გადავიდნენ, სიფისტრიის შიჩ-და-
შიჩ. ამ ჯარს უნდა დაეგზავნა რუმინიის რკინის გზა
და ყოველის მხრით გადაეჭრათ გზა რუსის ჯარის სურ-
სათისათვის. ამ საქმის თაოსნობა ღებრალ კლახასთვის
ყოფილა მინდობილი. მაგრამ მთავრობას გაუგია ეს ამ-
ბავი და მით მოუსწავია შეთქმულება.

ინგლისი. სადღა უწინდელი ინგლისი, ის ინგლი-
სი, რომელსაც ოთხი ხუთი თვის წინად ჭანან-წვევტა
ეძგა, ეს დალოცვილი რუსეთი ჩემს სამფლობელოში არ
შამომივარდესო. ესლა კი, როგორც ეტყობა, გულგრი-
ლად, წყნარად და გულ დინჯად შეჭსტქერის აღმოსავლე-
თის ომიანობას. მას ინდოეთის შიმშილი უფრო ძილს
უგრობს ვიდრე ეს ომი. ომი მეთქი და არა აღმოსავ-
ლეთის საქმე, რომელშიაც ინგლისი ისევე ისე ცდილობს
დაიზურას ჯეროვანი ადგილი და ეშინიან სხვამ არ და-
მსწრსო. მაგრამ დავუგლოთ უუჩი ერთს რუსის კორექს-
ზანდენტს (გასეთის Сѣверный Вѣстник-ისას), რომ-
ელიც სხვათა შორის შემდეგს იწერება ღონდონიდა:
„თან და თან გამოდის, რომ ევროპა ასაღის თვალით
უუჩრებს რუსეთს, და ესლავე შეიძლება ჭსტქვას გაცმა
თუ რა და რა საგანზედ მოუხდება რუსეთს შესეთქება
ინგლისთან. ომის წინ რუსეთისა ეშინოდათ, მეტადრე
მაშინ როცა ჩვენი ყუენაღ-გასეთობა (ე. ი. რუსისა)
მრჭვა კვეხნას და ტრახანობას. დიდი პატივისცემა ჭქონ-
და ინგლისს რუსეთისა. ამ პატივის ცემის საბუთი სამ-
კვარი: რუსეთის მთავრობის მშვიდობის მოყვარე-
ობა, მისას დიპლომატიის ხეხიანობა და სამსედ-
რო ძლიერება.

ეს პატივის-ცემა თან და თან გულგრილობად გადა-
იქცა. თუმცა ომიანობას, მაგრამ მთავრობის მშვიდობის
მოყვარეობა მაინც ჭსწამთ. არავითარი ეჭვი არა აქვთ
მსხედვაც, რომ რუსეთის განცდლქს იგივე ნიჭი არა
ჭქონდეს, როგორც უწინა ჭქონდა. მხოლოდ ინგლისის
თვალით— გონზავოვის მიწერ-მოწერის ზურგს უკან აღარ
მჩანს ზარბა მუქარა იარაღის ძლიერებისა. რუსები
ომიანობა ამობენ ინგლისელები,— რომ ოსმალები ჩვე-


ნის შემწეობით დგანან ისე მაგრადაო. ვჭსტქვით, რომ
ეს მართლაც ყუას და კემბელს შემწეობა და რჩევა
მიეცეს რამე მუსთარ-ფაშისათვისაო; ვჭსტქვით, რომ
ოსმალოს მსედრობაში მართლად ასი, ორასი ანუ მეტ-
ნაკლები ინგლისელი აფიცერი იზოკება, თუმცა დასავლ-
რეპელი კი არ არისო; ვჭსტქვით, რომ ჯარის გაცთა შო-
რის ურეკია ათასამდე ინგლისელი, — თუმცა ეს სრულიად
დაუჯერებელიაო; ვჭსტქვით კიდევ, რომ ინგლისის მთავ-
რობა ჩუმ-ჩუმად იფულს შოულობს ოსმალითისათვის,—
რა გამოდის ვითომ აქედგანაო? თუ ამ გვარი მცირე
შემწეობა უძნელებს რუსეთს საქმესაო, მაშინ რაღა იქნე-
ბოდაო ინგლისს რომ შიჩ და შიჩ თავისი ძალა წამოკ-
ყენებინაო რუსეთის წინააღმდეგაო? ცხადია, რომ რუსეთის
სამსედრო ძალა სუსტიაო და ჩვენ ტყუილ-უბრალო შიში
გვქონდაო ინდოეთზედ, სუეცზედ და სტამბოლზედაო.
ასე ღაზანაკობენ ესლა ღონდონში. მართლად, ამასთან-
ავე ამობენ, რომ ბოლოს და ბოლოს რუსეთი მაინც
მოკრეკა ოსმალითსაო და გამარჯვებისათვის დიდ მსხვერ-
პლსაც დასდებსო. ხოლო ეს მსხვერპლი ისე დასუს-
ტებსო, რომ დიდხანს ძალას ვეღარ მოიკრებსო. თუ კი
გემანია დასუსტდა გამარჯვების შემდეგ, რუსეთს რაღა
მოუგიაო. წარმოიდგინეთ ესლა ამგვარის ღაზანაკის გამ-
გონეს რუსს რა რიგად უნდა ეტკინოს გულა. ერთი
ნუგეშიდა დავგზრენია ჩვენ (ე. ი. რუსებს), რომ შერ-
გების დროს რუსეთს უფრო მომეტებული კეთილის-
მყოფელი გამოუჩნდება, ვიდრე ომის დასწყისში იყო.“
ინგლისის გასეთი Observer ამბობს: მხოლოდ ერთ
შემთხვევაში შეიძლება ძალე გათავდეს ომიანობა, სასედ-
ლობა, თუ ავსტრია და გემანია დაწმუნდებიან რომ
რუსეთი უძღურია და გამოაცხადებენ საჯაროდ რომ
რუსეთის საშველად მზად არიან.

კუთხული ქართული ყლაპია

ერთს მშვენეებს ლექსში ჩვენი პოეტი აღტაცებით
წარმოსთქვამს:

„სხვა საქართველო სდ აზის, რომელი კუთხე ქვეყნისა,
გრო ზურადი, გულადი მოუგარე თავის მიწისა
შაღ-ღეოთა გეოა შეჭსტვალეს მის გული აღამანცისა,
იგივ მსხე, იგივ მღვრალი მეპროლე შავის ბელისა.“

ვაიმე ჩვენო პოეტო! დღეს ჩვენ გულწრფელად უნდა
მიუგლოკოთ ამ გრძობით სავსე პოეტს, რომ საქართვე-
ლო აღარ არის თურმე და მარტო იმის ოცნებაში არსე-



ბოხს; რომ საქართველო გეოგრაფიულ სიგანად აღარ
 მსხენება; რომ საქართველო გაუიდუღია და ქართველებს
 მერტი აღარ დაწინააღმდეგობა. ამ დაუდგომელ წუთის სო-
 ფელში, რომ უნდა გასამხდონ. მკითხველი გაცხადებთ
 იკითხავს, ნუ თუ ეს ყოველივე მართალია, ნუ თუ მართლაც
 მთელი საქართველო გაუიდუღია და სხვის ტომის გაცხადებ-
 ხელშია? ეს თურმე ასრულებდა. ჩვენ თურმე ჩვენს ზოგო-
 სავით აქამომდე რაში დაუფრინავდით და მიწა გი ფეხებ-
 დამ გამოგვსხლეთ. ამას გვიმტკიცებს უ. გუტული.
 კორკესზონდენტი საფრანგეთის გაზეთისა „Temps“ და
 იმის ჩამოყველნი უ. გრიგოლ ანწრუნი, რედაქტორი სო-
 მხურის გაზეთის „მშავისა“ და იმის „შეკლამა-მოდგობა“.

ჩვეულებისა მებრ ეგრეთის უწინააღმდეგობისა
 გაზეთს „Temps“ გამოუგზავნია ომის ამბების შესატყუებ-
 ლად ჩვენს კორკესზონდენტად უ. გუტული. მას გა-
 მოუგვია ოდესში, საიდანაც გრ. ლევანოვის რეკომენდა-
 ციის წერილი წამოუღია ვილანკუბთან და მოხმანებულა
 ტფილისში და აქედამ წაბრძანებულა საომარს გელსედ. გა-
 ვს რომ უახლოვდება ის, რასაკვირვებია, განვიფრებთ
 შეჭურებს გავასიის ქედს, სადაც წარმოქმნი, ეს ჩვენი ად-
 მინების მსხველი წინააღმდეგ მიჰყვითელი იყო და აწივი მუდამ
 დღეს სტანჯვია და სწევდა. გუტულიმ გადმოიხილა გავასიის
 მთები და ერთის კალმის მოსმით გაქრისტიანა ვეგელა
 ოსები, რომელნიც თითქმის წმინდა ნემენურს ენაზე
 ღაშაგვებენ, აქ მოდიო, ნემენურად და ოსურად ერთ-
 ნაირად გამოთქმის, ჰსწერს უ. გუტული. ოსების მე-
 ზობლად მცხოვრებთ ჩეჩენების სახელი უ. გუტუ-
 ლის გამოჭყავს ორის ლექსიდან, რომელნიც ითარგმნება
 ვითომ „თავი მოსტერი“. ის ჩეჩენებსად ჰსთავის
 აფხაზებსად, და ესენიც იმავე კალმის მოსმით სულ ვე-
 ლანი გაუმაჭმადანებია.

ბალტაში მას შესუდრია ვილანკა აფიცერი არტი-
 ლერიისა, შემხიელი სომეხი, M—r X.. ამ აფიცერს
 უამბნია ისტორია, ეტროგრაფია, გეოგრაფია, ეკონომიუ-
 რი და სტატისტიკური მდგომარეობა გავასიის ამიერ
 მცხოვრებელთ ხელთა. რადგანაც უფ. გუტულისთვის
 ცხენები არ მიუციათ, ამ სომეხს თავისთან „პოვარსკაში“
 ჩაუტყავს და მოუყვანია ტფილისში. აქ არტილერისტი
 გააწინააღმდეგებს მას სხვათა შორის უ. გრ. ანწრუნს, რომელიც
 უ. გუტულის სიტყვით, „ლიბერალთ დანისა წინამძღო-
 ლა, და თუმცა სასულიერო წოდებზე არ ეკუთვნის, მაგრამ

სომხებთა შორის იმავე როლს თამაშობს, როგორც
 დელდინგერი და მამა დიაცინტი კათოლიკებთ შორის და
 რომელსაც უკეთ ესმის სომეხთ სადმითა წერილი, ვიდრე
 თვით კათოლიკოსთა.“ თუმცა უ. გუტულის ძალიან ემუ-
 რება „დაესწროს ყარსის აღებაზე“ მაგრამ, რადგანაც მას
 და იმის სახლთ ნაცნობებს ჰსურთ აღმდგენ ეკონომიკა-
 სავლეთის საქმესთან სომხების საქმეც, ის რჩება ტფი-
 ლისში და შეუდგება აქურ ხაფიზის შესწავლას. უ. გუ-
 ტული ჯერ წინააღმდეგობას თავის მკითხველებს, რომ უ. ანწრუ-
 ნი კეთილ-შობილურ შთამომავლობისა არის, რასაც გვი-
 მტკიცებს ვითომ მისის გვარის დახლოება „უნი“ *); რომ
 იგი აღზრდილია ჯერ მასკოვში, შემდგომში და მერე ჰუ-
 დელბერგში; რომ იგი ძალიან განვითარებულია ფილოსოფი-
 აში; რომ მისიმა გერმანიაში ზრდისა და თვითონ გი-
 რედაქტორი ანწრუნი წვერია (სმის-მეჭინი) და წინამძღო-
 ლიბერალურ დანისა ტფილისის პატარა პარლამენტში,
 დუმაში, სადაც ამ საკვირველს პუ. დიაცინტს უ. ანწრუნს
 მიჭყავს უ. გუტულიც. დუმაში გამოკვების მწვერს მას
 მინისტრებად მოეხება და სმის მეჭინი, ნამეტნავად უ.
 ანწრუნი თავისის დანით ოპოზიციად. თუმცა უ. გუტუ-
 ლის არ ესმოდა რაზე იყო იქ სხვა და საუბარი, მაგრამ ის
 მანინ ძალიან აქებს სმის-მეჭინთა ორატორობის ნიჭს.
 ერთი ამ ორატორებადანი მან უ. გუტულიმ გამოჩინელ
 საფრანგეთის დეპუტატად ნაკეთ იცნა, მაგრამ წარმოი-
 გინეთ იმისი გაცხება, რადგანაც აღმოჩნდა, რომ ის
 პატონი ნაკე გი არა ყოფილა, რეალურის წყლის გამო-
 დველი ყოფილა ტფილისში!

დუმიდამ უ. ანწრუნს უ. გუტული მიჭყავს სომე-
 ხის ეკვლესიებში, სადაც ამ უკანასკნელს უკვირს მღვდლე-
 ბის (ტრეტერების) მშენიერი და ძვირფასი სამოსელი;
 საყდრებიდან შედიან სომხის სასწავლებლებში, სადაც გუ-
 ტულის მოჭსწონს მშენიერნი სომეხთ მოსწავლე ქლე-
 ბის თვლები, თუმცა მათის სახის სილამაზეზე გი ბო-
 დიშს ინდის, უკანდავითა. მერე მიდიან ალექსანდრის
 ბაღში, სადაც უ. გუტული გარე ქიფთა და დიდხანს
 ეთამაშება პატარა დათვის ბელს, მიშავს; შემდეგ ამისა
 ბელადი უ. ანწრუნი გააწინააღმდეგებს უ. გუტულს თავის მე-

* აქ არ არის აღვლილი არისტოკრატიის ლაპარაკი. ჩვენ
 შევნიშნეთ მხოლოდ ის წადილი მიმზიდველია უ. ანწრუნისა
 და მისი „შეკლისა“ რომ არისტოკრატიის ჰსენობის და ძალიან
 სწ. მოუწადინებიათ.

გობრებს, უ. აბ. იონისიანის -- რედაქტორის „ზოგადი“
 რომელიც ანკვიტარ შემოსავალს ან აქვეს იმის გა-
 მამცემქვსა,“ ამბობს უ. გუტული. განცხადებს უ. ბუბუ-
 თას, რომლის კეთილ-შობილურ შთამომავლობაზე უ.
 გუტული არაფერს ამბობს და რომელიც გერაიფად მოქსწო-
 ნება, ვინაიღვან იგი ფრანციულად კარგად ვერ მუსაი-
 ფობს და რუსულს ენაზე ვერცხადვს „ტფილისის მამბეს.“
 მერე ამ დაუღაღკვლს ბელადს უ. არწრუნს შექვს უ.
 გუტული თავის ნაცნობების წრეში, სადაც არწრუნის სტუ-
 მანს სხვებზე უფრო მოსწონება ერთი ემსწვილი კაცი,
 დუმის სეკრეტარი, რომელიც ფრანციულად თავისუფლად
 ლაპარაკობს. *) ეს წრე უმართავს უ. გუტულს სადი-
 ლებს, ღსინს, რომანსების მღერას, ბალებში შექვს და
 თეოთეულის ამის შემდეგ გბილის ჩასამტებანებლად შეუ-
 დგებიან მალა საგნებზე რიტორებით მუსაიფს. ხანდის-
 ხან კი ჰსხივის უფ. გუტული, რომ ეს არის იმ გვარ
 შექვსისგან დაკბრუნდიო, და კლამისთვის ვერ მომი-
 კიდას ხელიო, ასრე არეული მქვს ჰსრებიო. უფკვლგან
 სადა ღსინს დაქსწრება, მისთვის მიურთმევიათ მშვენიე-
 რი სამხური საჭმელები; გუტული კვლარ ითმენს, და
 აღტაცებით ამბობს, რომ „უთუოთ ედემი სომხეთში
 უოფილა“. მერე მიიწვევს მას შინდისში უფ. გუტგინ-
 ბეგოვი, სადაც რადც დღეობა უოფილა. აქ სულ აღტა-
 ცებულა უფ. კორკესზანდენტი, მოლოდ ერთს რასმეს
 დაუწარება ამისი ქეიოვი: აქაურ ქალებს, მისის სიტყვიოთ,
 ისეთი დიდი ცხვირები ჰქონიათ, როგორც მთის ქედი.
 მაგრამ აქც იმის ჩამბერკვლებს დაწბანსლურად და გულ-
 წოფულად აუხსნიათ მისთვის, რომ დიდ ცხვირისანი ქა-
 ლები სულ ქართველები არიანო. ტფილისის ქალების სილა-
 ძზე ზღაზნარი, მითი არისო, ამბობს ამის შემდეგ უ. გუტული.
 რადა გავგბქლო, უ. გუტული ტფილისელ სომხების
 სტუმარ-მოყვარეობით, თავაზიანობით და დაწბანსლობით
 აღტაცებულა. ტფილისის სმოთხე იქნებოდაო, ამბობს იგი,
 თუ ივანობისთვეში ასე არ ცხელადეს და თუ ასე მვირნი არ
 იყოს აბანკები, სადაც სამი მანეთი გამომართვესო. ქარ-
 თველთავან მას მოლოდ ერთი კაცი გაუცვნია ივანე ადამო-

ვინი ფორაქოვი, რომელიც თუცა ქართველობის ტინი
 არ არისო, რადგანც ვაჭრობსო, მაგრამ არ ვიცით, რად
 უძვნია მთელი ერთი კორკესზანდენტი მის და მისის
 სადილის აღწერისთვის. არც ის ვიცით, რა ჰსწრით
 უკითხავთ უ. ფორაქვისთვის „უჩიები ჰსწრებენ
 ტფილისში, თუ არა?“ და არც ის ვიცით რა ჰსწრით
 წარმოათქმევენ მას ამის ჰსრხად შემდეგ: „თქვენ
 მკითხავთ, უჩიები ჰსწრებენ, ტფილისში თუ არა;
 „როგორ არა, განა სომხები უჩიები არ არიანო?“ ხვენ
 არა გვაქვს ცნობა უ. ფორაქვისა და არც არა რამე
 გაგვიგონია მის მოღვაწეობაზე და გამობენაზე და სხვა-
 გადო საქმეში. ხვენ აქ მოლოდ ერთს რასმეს შევნიშნავთ:
 რადესაც უფ. ფორაქვი წაიკითხავს, — რა გვარად აუწე-
 რია იგი უფ. გუტულს, არა მკანია კამოფილი დაჩხეს,
 რომ უფ. გუტული სტუმრად ჰყოლია მიწვეული.

ესლა გამოვიკვლიათ უფ. გუტულის ჰსწრი შესა-
 სებ ხვენის აწმეისა და მომავლის მდგომარეობისა. იგი
 ამ საგანზედ მოგვიტხრობს გქელს ამბავს მთელის ერთის
 თვის „Temps“-ის ნომრებში. ამ საგანზედ საჭირო ცნო-
 ბები, რასაკვირველია მიურთმევიას მისთვის ზემოხსენე-
 ბულთ წრეს იმ სტუმართ მოყვარეთ სომხებისას.

კავკასიის ამიერ რთისის გვარ-ტომის საღსი ირინ-
 სებაო: სომხები, ქართველები, თათრები და რუსებიო.
 თუცა სომხების რიცხვი ქართველებზე ცოტა ნაკლებიაო,
 სულ 600 ათასიაო, მაგრამ ამ საუყუნეს დაბოლოებაშიდის
 ისინი მალე გამავლდებიანო და ქართველებზე უფრო
 მქტნი შეიქნებიანო. სომხები შეადგენენ მესამე წოდებას,
 Tiers états კავკასიაშიო; ამათ ხელშია ვაჭრობა, ვეკ-
 ლაფრის მოხელობა, წარმოება; ისინი არიან ექიმები,
 ადვოკატები და თავისუფალ საქმისა და ხელობის კაცები;
 მათ აქეთო შკოლები, ყურნალ-განეთები, ჰატარა ტფა-
 ლისის ჰარლამქტი და სს. ამ უკანასკნელ დრეს იმათ-
 განი სამხედრო სამსახურშიაც ბევრნი შედიანო. მდათო-
 ვი ბებუთოვი, არგუთინსკი, ლორის-მელიქოვი, ლაზა-
 რკვი, აღსაზოვი, ტერლუკასოვი, ეს დენერლები სულ სო-
 მხთა ტომის მისცა რუსის მხედრობასაო. *) ერთი ამ

*) უ. გუტული არ მოგვიტხრობს, გააყენეს თუ არა ბავჯივცემული
 უქელს „რედაქტორი?“ ხვენ კი ვებობთ ამასედა მით უმეტეს
 რომ თვით უფ. გუტული ამბობს: როდესაც ლიბერალურ საე-
 ლო დისის წინამძღოელი უ. არწრუნს შესვლება სადმე კლე-
 რიკულურის გახეთის „ქელს“ რედაქტორიო, ისინი ერთმანერთს
 შხის უტყვებო და ერთმანერთს არ მიესალმებიანო.

*) აქ ხვენ უნებლიე მოვიკვირბო ერთი მეგრელის თავადის
 მგილის გოღვა ოდიშის ბელზე: „პართეს ხვენ სუნთლად გუბე-
 ღურები ვართო, ქართუები კი დაწინაურებულნი არიანო იმიტომ,
 რომ ღენერლები იმათ ბევრნი ჰქევათო და ხვენ კი სრულიად
 არაო.“ Ses beaux esprits de rencontrent, ამბობს
 ერთი ურანციული ანდაზა.

წარჩინებულ ღვინვათაგანი ღაზარევი, ძლიერ შესანიშნავი სარდალია: მან, როდესაც სხვებმა შიშით უარი სთქვეს, გაბედა შიშითან გუნებში შესვლა და მოჭკვარა ბარათისთვისაც. ღაზარევი ადრე თურმე თურმად უფილა, მოგვიტოსრობს უფ. გუტუელი: შემდეგ სამხედრო სამსახურში შესულა და ღვინვა უშოგინა, მაგრამ ქართველის თავადების შურით ის საბრალე ესლა გადაყენებულა და ბაქოში სტოვარებს უსამსახუროდა. წამოიდგინეთ, როგორ გაიტაცებდა უფ. გუტულს ფანტაზია: მას მაშინვე წამოუდგებოდა ჟონსონი, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი, რომელმაც თურმის ხელგაბედა დაიწყო თავისი აღმატება! უფ. გუტულს ჩამოვსთვლის ყველას, ვინც კი უფილა გამოჩენილი სომეხთაგანი მცენიერებაში, ხელგაბედაში თუ სხვა რაიმე ასპარეზზე. მაგრამ სამწუხაროდ უფ. არწრუნისა უნდა აღვიხატოთ, რომ ეს გამოჩენილი გაცნი მცენიერებასა თუ ხელგაბედაში გოლიათებად არავისგან არ ირცელებიან *). ამის შემდეგ უ. გუტულის, რასაკვირველია, სრულებით „აღუხნა თვალნი“ და ვითა წინასწარ-მეტყველი ღაღადებს: მომავალი ვაკასიაში სომეხებს გუთუნისა და მის მუხობლებს ორის ტომის ხალხს—ქართველებს და თათრებს სხვა არა დაჩენიათ რა, რომ უნდა გასომხდნენ.

(შემდეგი აქნა).

ვაკელი.

სამათნავან ლექსი

ბადი ბუღბუღით ავსილა, კარდს ევალი არ აკლია,
 გათქნილა ის კარდი, ზედ ღამაზიც არ აკლია,
 უცხოდ ხარბს იასამანი, ძირსა ვაზიც არ აკლია.
 შეიღანი გამართული, ქანდირ-ბაზიც არ აკლია.

რადგან სოფელსა ასე მოსდევს, უღბინოთაც არ იქნება,
 შენი ქება, შენი ხვეწნა, უენოთაც არ იქნება.
 მარანის ტუმბო სავსეა, უღენოთაც არ იქნება,

*) ამ გამოჩენილ კაცების ჩამოთვლაში გელიზაროი იუსტონიანეს დიდი სარდალი და გერგევი გენეროლების სარდალი სომეხებად გარდაქცეულანი ეს ამასა ჭკაუს, რომ ერთი ნასწავლი სომეხი ამტკიცებდა აია-სოფლის ცამაო სტამბოლში სომხის არხიტექტორის ამენბულიაო, თუმცა დასამტკიცებლად ამისა იმისთანავე ძლიერი საბუთი ჭქონდა რიგოლრც უფ. გუტულის ქართველების გასომეხებისა.

მეკელიში გამართულია, უშენოთაც არ იქნება.
 სულ ქვეყანა ჩვენსა არის, რომ ბაზაზიც არ აკლია.

არ გაწინოს ჩემო კარგო, სიტყვაშიაც ივაკი მაქვს,
 რომელ ერთი განაცვალა, ნეტარ რამდენი თავი მაქვს,
 მუდამ თქვენს სამსახურში ვარ, არა სთქვა პირი შავი მაქვს;
 ამაღამ ჩვენსა მობძანდი, ერთი კარგი ამბავი მაქვს,
 წმინდა სანთლები შამდნში, ზინანდაზიც არ აკლია.

ხელმწიფესაც არ უქნია როსტომ ზააღისათვინა,
 ნიშნობა კაი ქორწილი, თავისის ქალისათვინა,
 რაც რომ გარდამხდა თავზედა, ტანად მავაღისათვინა,
 ნების ქამანჩისა დურტარ ყავაღისათვინა.
 ტრიალებს ოქროს თასები, ლეილემ ღაზიც არ აკლია.

ტანი ტურნო ლელწამს გიგავს, მოართული ქირმაშაღშია,
 პირი სხე მთვარეს გიგავს, ჭინდის პილხილი ხაღშია,
 ნაქები ხარ, იავუნდშია, აღმასშია და ღაღშია,
 თუ ჩვენსა არ მობძანდები წავიდეთ სამართაღშია.
 სავათნავსა სახელმწიფოა, შაჰბაზ ეენიც ირავლია.

დიდოქლების აჩულობა და კახეთი

(შემდეგი) (*)

16, 17, 18, ... — 16 თიბათვეს დილით ოთხს
 საათზედ ჟარი გაემგზავრა სასახლასკენ. როგორც ესლა,
 აგრეთვე წინადაც მოწინავე ჟარი შესდგებოდა ქართველის
 და თუშის მილიციისაგან, რომელთაც წინ-
 წამდლოლებდნენ ხოლმე,—უკან რუსი მისდევდათ.

სოფელი სასხო მდებარებს ერთს ტინიან მთაზედ,
 რომელსაც ორს მხარეს დიდი ხეები ჩამოუდის, სოფ-
 ლი გორაკანზედ არის აშენებული,—შიგ სტოვარებს სა-
 კომლამდე დიდო, სახლები აშენებულია აჭეთ უფრით,
 სახლი სახლზედ არის მიკრული და თითქმის უფველს
 სახლს თავისი გომკი აქვს. ეს გომკები აშენებულია ქვი-
 თა და ტალახით. ამბობენ ეს სოფელი თავის დღეში
 ძალით არ აღებულა. როდესაც კი ჟარი მისულა, სასხო-

*) „რევი“ № № 27, 28 და 29.

ლეს თავი დაუკრავთ და ჯარი უომკად მიუღიათ. ას-
სოს აღებას ამ შემთხვევაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.
ეს სოფელი ითვლება უკლასოდ მაგრად და შუუკალ სოფ-
ლად მთელ დიდობაში. დანარჩენი დიდოლები და საზო-
გადოდ დიდისტნელები ამ სოფლის აღებას შეჭურებდნენ,
კეონათ რუსის ზარბაზანს გაუმხელდებოდა ამისი დანგ-
რება და მცოდნე კაცნი სრულიად დაწმინებულები იყვნენ,
რამ თუ ამ სოფლის აღება გამხელდებოდა. მაშინ იქმნე-
ბა ბევრი სხვანიც გამდგარიყვნენ, უკლას იმისაგანთ თ.
ნაკაშიძემ მთელი თავისი ძალა ამ სოფელს მიჰმართა.

სამსავე მხარეს ჯარი შამოერტყა ასახოს, ისე მო-
შორებით კი, რამ იმათი თოფი ჩვენ ვერას ვკამხსვდა
ჩვენი კი კარგად მიდიოდა. რა შემოერტყა ჯარი, მაშინ-
ნათვე ჩვენებმა გაუგზავნეს შუა კაცები და სთხოვდნენ
თავიანთ ნებით გამოსულიყვნენ და დატმორჩილებოდნენ.
მაგრამ უარი შემოეთვალათ. შეუდგნენ საქმეს. დარი-
კარგი იდგა,—იმ სერებიდამ სადაც ჯარი იყო დაყენებუ-
ლი ასახო სრულიად სჩანდა. დავსვერეთ ჩვენ, მაგრამ
დაგვეგვერეს იმათაც,—სშინად ტურქებსავით გადმოღებ-
ბოდნენ ბანებზედ და გვლანძღვდნენ რაც შეეძლოთ,
ქართულს, ლეკულს და ზოგჯერ რუსულ ენაზედაც. მიუ-
მარჯვეს რუსებმა თოფები და რა გამოჩნდებოდნენ ბა-
ნებზედ, ანუ ქუჩებზედ, მაშინათვე უიკამალა გადა-
ატრიალებდნენ ხოლმე. თუმცა ძალე მიტყვდნენ
ასახოლები, რამ რუსის ტყვია ადვილად მი-
დიოდა იმათამდე და რამდენიმე კაციც თვალწინ
გაუგოტრეს, მაგრამ ამით მანინ არ შაშინდნენ. ისე-ისე
თამამად გადმოხტებოდნენ ბანებზედ, გამოგვიგზავნიდნენ
მთაღის ხმით ლოცვა-გურთხევას და ისევე შეტვირთი-
ბოდნენ; ხან კიდევ ჩვენს გასაჯავრებლად ჩამოაცვავდნენ
ხოლმე ჯარზედ კაცის, ანუ დედა-კაცის ტანისამოსს და
გამოტვირთდნენ ბანებზედ. ჩვენც პირველში ნამდვილად ადა-
მიანად გვეგონებოდა ეს ჯოჯოები და ვეროდით რაც შე-
გვეძლო, ბოლოს კი მივხვდით. დიდოელთაგანნი კაცი, დედა-
კაცი სულ ერთგვარად იქცეოდნენ. საცოდავი დედა-კაცები
გამოდიოდნენ ბანებზედ, თითქოს სეიჩის საეურებლად და
და თუმცა ბევრი იმათგანი მარჯვე ტყვისაგან იქვე გა-
დიქცოდნენ ხოლმე, მაგრამ მანინ იმათ თვის არ ამო-
გვეტყს.

ასახოს აღმოსავლეთით და სამხრეთით ჩამოუდის
დიდი ხეები,—ხე-გაღმა აღმოსავლეთით მდებარებს

სოფელი აქტო, იგივე აკადა. ამ სოფელს პირველშივე
მიუხეცეს ლეკები, რომლებმაც ძალიან ძალე და ადვილად
აიღეს, რადგან შიგ აჩავან იმყოფებოდა; დაიჭირეს ეს
მხარე; სამხრეთით სვე-გამოდმა იმყოფებოდნენ თვით
ატრიადის უფროსები ბლომა ჯარით და ატრილლერიით,
დასავლეთის მხარე კტირათ ქართულის და თუშ-ფშავლის
მილიციას.

ატრილლერიის შეუდგა თავისი საქმეს: დაიწყოს ოთხის
ზარბაზნით სრულად, ასტყდა საშინელი გრამიული. მი-
დიოდა და მადიოდა ზარბაზნის ტყვია, მომატებული
ნაწილი უქმად,—ესე იგი უადვილად ადგილას სტყდა და
რომელიც კიდევ ჰხვდებოდა ცისეებს მაგთვენს ვერას
აქლებდა, მაგრამ იქ გამაგრებულ ერთ მუჭა საღსს,—ეს
ზარბაზნის ხმაც ეყოფოდა.

ატრილლერიის პოდპოლეოვნიგი თ. შარვაშიძე ყო-
ჩადად იქცეოდა, მაგრამ მაგთვენს ვერას აქლებდა
ასახოს ცისეებს. ორი ზარბაზანი სოფ. აქტოში გადი-
ტანა და იქიდან მოუმართა. საღამომდინ სრულად არ
შემდგარა. ასახოლები მანინც ყოჩაღად იყვნენ; ზარბაზ-
ნებმა ვერ შაშინეს.

გათენდა 17 მკათათვე. დაწმომილი ორი ზარბაზანი
გადიტანეს დასავლეთის მხარეს და გაუმართეს იმ ადგი-
ლიდამ, სადაც ქართული მილიცია იდგა. გარეყრავსაკე
უძალე მოისმოდა ასახოდამ ძახილი; ჩვენ უური ვათხო-
ვეთ: საღსი ითხოვდა შებრალებას და მზად იყო დასა-
მორჩილებლად. სრულად შეაყენეს, გაუგზავნეს ელჩები და
მართლდაც მომატებულმა ნაწილმა დასტოვა ასახო და
გამოვიდნენ ჩვენთან. სულ 211 სული იყო, იმათში მამა-
კაცი 55, დანარჩენნი დედა-კაცები და წერილ-ფეხობა
იყო. იმათი მოთვე უურბან-მუსაც მოშაშინდა, ამით მანინ
არ გათავდა ასახოსთან ომი. კიდევ დაჩნენ იქ 30-მდე
ვაჟაკები, რომელნიც მუქარეებს ვეიგზავნიდნენ და იქ
გვეპოტიუებოდნენ. დაიწყოს თავიანთი საქმე ზარბაზნებმა.
ამ ორის დღის განმავლობაში ზარბაზნებმა 300 ყუმბა-
რა უთავაზეს ასახოს ცისეებს და ძლივს ორი გუთხე
მოუნგრეს ორს ცისეს. დანაშთენი ცისეები და სასლქე
სელ-უსლებული იყო.

ბოლოს დაიძახეს, იერიშია, მაგრამ ისე ფიცხლად ვერაინ გაბედა, როგორც უბძნებდნენ. ბოლოს ვერ ფშავლებს გაბედეს—მაცვივდნენ სასახლეში და ამით ქართველები და თუშებიც მიჭყენენ. დიდოელები გამაგრებულიყვნენ მხლოდ ერთს ციხეში,—დანაშთენი ციხეები და სოფელი ცარიელი იყო. გახინეს ცეცხლი, მოუვიდეს ამ ციხესაც სადაც დიდოელები გამაგრებული იყვნენ, შემოერთებენ გარს ჯარი, ბევრი სთხოვეს იქ მყოფ დიდოელებს დამორჩილება და გამოსვლა, მაგრამ შენ არ მამიკვდე: „მამახვენებიც რუსებისაგან არიან დახეცილები და ჩვენც რუსებმა დაკვროცნონ“ ეპასუხნათ დიდოელებსა. მოუდეს ცეცხლი ამ ციხესაც. ძირის სართული ცეცხლმა დაიჭირა,—მაგრამ შეუზოვარი სასოელები აცვიდნენ მეორე სართულში, ილანძლებოდნენ და ისროდნენ თოფებს. გახნდა ცეცხლი მეორე სართულშიაც, სასოელები აცვიდნენ მესამე სართულში. ცინილამ მოისმოდა ბავშვების ტირილი, დედა-გატების წივილ-ვივილი. ეხვეწებოდნენ ჩვენები წვრილ-ფეხობა და დედა-გატები მანინც გამოუშვითო, მაგრამ ვერა შეაგონეს რა. ავიდა ცეცხლი მესამე სართულშიც, ამითაც არ შეშინდნენ სასოელები. ეველს ღონე რომ გამოელიათ, იშვირეს ფეხი და ჩაცვიდნენ ცეცხლში; გარეში გამოსეთქა კანის სისხლმა და ქონმა. ორი პატარა ბავშვი ძლივ გამოიტაცეს ჩვენებმა ცეცხლიდან. ერთი იმათგანი ძალიან დამწვარი იყო და მალე მოკვდა, მეორე კი დღესაც ცოცხალია. დანაშთენები ცეცხლში დაიწვენ. ამით გათავდა სასახლე ალება. იმ დამეს ჯარი სოფელში დარჩა,—მეორე დღეს, ესე იგი 1 მკათათვეს, გაიგზავნა ჯარი სასახლის დასანგრევად და დასაწვავად. საშინელება იყო 1ს და 17. კარგად ცხადად დავინახეთ რომ ერთმა კარმა თავის ხელით წაუვიდა ცეცხლი თავის სახლს ჰურით საკეს და შემდეგ თითონაც დაიცა ხანჯალი და მოიკლა თავი მრავალი დედა-გატი შესაზარის ყვირილით გადაკარდა კვლდში. ერთმა იმათგანმა ეელები დასჭრა ორს თავის პაწაწა შვილებს და შემდეგ გადავარდა კვლდში. საშინელება იყო. მრავალი ავეჯი და სამეტნავად ჰური დაღუპა ცეცხლმა.

მაშინ, როდესაც ეს ამბავი იყო სასახლე გარემოში და ის სურათს ვხვდებით: თუშები და ავარები, რომელიც თ. ნაკაშიძის ჯარში იყვნენ, თავიანთ ქონების შემატებას დაუფიქრდნენ: აქა და ჩვენ ყურს არავინ გვიგდებსო, გავიდნენ სასახლე სერებზედ, მოაგროვეს რაც კი იქ ცხვარი, ცხენი, ძროხა და ჯარები იყვნენ და გაამგზავრეს თავიანთ სახლებსაკენ. საცოდავ მწყემსებს ტყუილად ჩამოსდიოდათ ღამა-ღუშით ცრემლები და ტყუილად შესხიოდნენ მეუფროსებს,—იმათი და აგრეთვე თვით დიდოელების ცხვარი, ძროხა, ცხენი სულ ავარიელებმა, ანდოელებმა, ლეკებმა და თუშებმა წასეს თავიანთვის. საწუალ მწყემსებს რაც დიდოელებმა დაგვლეს ამით აურთულეს. რისაც გარეკა შესძლეს, ხომ გარეკეს და დანაშთენი რაც მანლობლად იყო და მალეით გარეკა იმათი არ შეიძლებოდა, მორეკეს ავარიელებმა ჩვენ ბანაკში და ჩვენ თვალ წინ ჩვენსაკე ცხვრებს ჭსოვდნენ, სჭამდნენ რაც შეეძლოთ, და რასაც ვერ ერეოდნენ, ჭყიდდნენ მედუქნებზედ და სხვებზედ—დაკლულ ცხვარს უტყაოდ შურად და ორ შურად, ფეხ-და-ფეხ მანეთად და ოთხ აბაზად. მთელი ჩვენი ბანაკი მოიფინა ლეშით, შინაგანებით, აფროლდა იქაურობა. ვერათერი გააწვეთ ჩვენს ჯარშივე მყოფ ავარიელებ და ანდოელებ ლეკებთან, ვერა გვარი ბმანება ვერ შესამინეს-ჭსოვდნენ და ჭსოვდნენ რაც შეეძლოთ. ნაიბები, თუ სხვანი დასვირნობდნენ ჩვენის ცხენებით, მაგრამ იმათ ჩვენ ვერა დავასწოთ რა. ერთის სიტყვით მთელი ქართველობის ცხვარი თუ ცხენი რაიც გადაჩნდომდათ დიდოელებს სულ ჩვენთანვე მყოფის ლეკების და თუშების დავლად შეიქმნა. უნდა გეუყრებინათ შემცხვარებისა ალტალების და სინარული-სათვის,—როდესაც მათ თავიანთი ცხვარი დაინახეს და შემდეგ კიდევ იმათი ცხვრე ცრემლებისათვის, როდესაც დაინახეს, რომ ჭირითა და ვაი-ვაგლანით მათს მონაშენს საქნელს, ისე შეუზოვრად და დაუზოვრედ ყელტდნენ.

დიდის ვაი-ვაგლანით წართმევიანა თ. გ. ჯარ-ჯამემ ლეკებს 4600 სული ცხვარი და თანხმად მეუფროსებს მოწერილობისა, დაუყო ეს ცხვარი იქ მყოფ მებატრნებებს, მაგრამ ვის რა გაჭნვდებოდა. დანაკარგი ცხვარი მარტო იქ მყოფ პატრნებისა 28,000 სულს

ადრე ტობოდა და ახა ეს 4600 ვის რა გაჭსწვდებოდა!

თ. ნაკაშიუ ამშვიდებდა მწვემსებს იმ იმედით, რომ მშარობლობა დაგაგამყოფილებოდა,

19, 20 და 21 ჯარი ისევ ასახლს თავზედ იდგა. 211 სული დიდოკლნი გაგზავნეს შერაში, თ. მელიქი-შვილთან.

22 მკათათვეს ჯარი, თანხმად მოსულის განკარგულების, ისევ გაიყო ორ ნაწილად: თავადი ნაკაშიუ თავის ჯარით გაემგზავრება დაღისტნისაკენ, — თ. ჯორჯაძე გასეთისკენ.

ამ დღეს თ. ჯორჯაძის ჯარს მოემტა ერთი მშენივრად გამართული და გამოწყობილი ჯარი ქართველების რიცხვით ას ომომც-და-ათი. ამათ მკუჩრისკეს, მაიარს თ. ნიკო დიმიტრის ძეს ვახნაძეს, კაცს ნაქებს ვაჟკაცობითა და დაღისტნის ომში გამოცდილებითა, სულ შვიდის დღის განმავლობაში ისე მშენივრად გაემართა ეს ას ომომც-და-ათი კასელი გლეხი კაცები, რომ ვერც ერთი დიდხნით ნაწურთნი როტა ვერ შეადრებოდა. ისინი იყენენ გაწობილნი რუსულის შტურცრის თოფებით, რომელსაც მშენივრად ხმარობდნენ. თელაგელებს ამითთვი-ნაც ვურადღებს აღმოჩინათ: თამაჟა და კიდევ სხვა წერილმალეულობა შეეთავაზებინათ. ძალიან მოწყენით დაბრუნდნენ უკანვე. — გულთი უნდოდათ საქმეში გამოეცადნათ თავიანთი ვაჟკაცობა, მაგრამ გვიანდა იყო.

27 მკათათვეს თ. ჯორჯაძის ჯარი კასეთში ჩამოვიდა და 29-ს თანხმად მოსულის ბრძანებისა, — ქართველი მილიტია დამძალა და რუსის ჯარი სხვა და სხვა ალაგს გაიგზავნა. გათავდა ლაშქრობა, — დამორჩილეს დიდოკლები. მართალია ასხნა აიღეს, — ცოტადანად დახვრიეს, 211 სული რუსეთისაკენ გაგზავნეს, მაგრამ დიდოკლები ისევ თავის ალაგს დაჩნენ. — იმედია, ჩვეულებისამებრ სანამ დიდოკ გამძლარია თავის კარესთან იქმნება წამოწოლილი და როდესაც მოჭშივა — ისევ გამოილასშქრებს და წაიტაცებს ქართველების ქონებას. დიდოკლები თავის დღეში არ მოუსვენებენ კასეთს.

დაპირებისა გამო, ესლას მოგასხენებ, მკითხველო, მიზნებებს, რომლისაგამოც — დიდოკლები აჯანუდნენ. ხალხში ბევრს ლაშარაკობენ, ცილისწამება, ჩვეულებრივ, ბევრზედ არის. ესეც გი უნდა გასსოვდეს, მკითხველო, რომ ჩვენ, ერთობ ქართველობაში სამინელი ჯანბრება

და შურის ძიება სუთვეს. თუ დავინახე, რომ ჩემი მისობელი უჭკვეო კაცი არ არის, რიგინად მიჭყავს თავისი თუ სხვისი საქმე და პატარა ზურგი მაგარი აქვს, — თქვენი მტერი იყოს, რომ მე იმას სამაგებელი, მახინკე-ბელი, შესარცხვენი და სალანდველი ჭორი და ცილი არ მოვაკლო. რას არ მოუგონებ და რა მეცადინეობას არ მივიღებ, რომ ის დავამსო, დავდუნო, სასული გაუჩინო-ქანო: ამის მაგალითი ბევრია ჩვენში, ჩვენდა საუბედუროდ.

პირველშივე მოისმას სმა-თუ არა, დიდოკლები გადა-გნენო, მაშინვე მიზეზად ის დასახეს, რომ თ. გ. ჯორჯაძემ სამოკარი ადგილები ჩამოართვაო, — და იმიტომ გადა-გნენო, რომ გიორგის ჯორჯაძის ოჯახი დაღუპონო და, რა ენისეღში ჩამოკლენ, რათქმა უნდა სხვებსაც არას დააკლებნო და ახა რისთვის უნდა დაიღუპოს ერთის კაცის გულსათვის მთელი ქვეყანაო.

შესახებ ამ სამოკრების ჩამორთმევისა — აი საქმე როგორ არის: სიტრანოკლებს სამსრეთ-დასავლეთის მხარეს, — დიდი საზაფხულო სამოკრები უძევთ. ეს ადგი-ლები უოკვლთვის თუშებს და ქართველებს სჭერებისათ-ცხვრის სამოკრად ზაფხულში და სიტრანოკლებისათვის ულევით — დაღებული საბაღსე ას სულზედ ორი ცხვა-რი, ასე რომ მთელი საბაღსე თუფად შეადგენდა 250 მანეთიდან 300 მანეთამდე. თ. გიორგი ჯორჯაძეს სა-ზამთრო ადგილი ცხვრისათვის არ ჰქონებია და ზო-გიერთ მებატონეებთან, რომელთაც იორზედ საზამთრო სამოკრები აქვთ, — პირობა შეუყრია: „ზამთარში თქვენ მამეციც ცხვრის ადგილიო, ზაფხულში მე მოგცემითო.“ ამისგანო გაუგზავნია სიტრანოკლებთან კაცი და თან-ხმად მთელას საზოგადოებისა თ. ჯორჯაძეს აუღია ეს ადგილები იჯარით წელიწადში 400 მანეთად. გადასუ-ლან საზოგადოებისაგან აღმოჩნეული კაცები შეუდაღის-ტნის მმართველის უზრკველნიაში და იქ წესიერად დაუმ-ტკიცებიათ პირობის წერილი, — ბეთაც გამოურთმევიათ 180 მანეთი. მე ნამდვილის ცნობებიდან დავრწმუნდი, რომ სიტრანოკლებს იმ ადგილიდან — ამასზედ მეტი შე-მოსავალი თავის დღეში არ ჰქონიათ. ძალიად გამორთმევა იმ ადგილებისა დასაჯერებელი არ არის, ამიტომ რომ სამალო იქ არა იყო რა. სიტრანოკლებისათვის ეს ადგი-ლები სრულიად საჭირო არ არის, მაშასადამე ვისაც უნ-და სჭეროდა იმითთვინ სულ ერთი იყო, მხოლოდ თავიან-

თი კი აედოთ. იმ ფიქრის მოტანა, რომ თ. გ. ჯორჯაძე არ მისცემდა 400 მ. და ამით ააღვლეებდა დიდო-
 ელებს, — უგუნურობა იქმნება და ყველა ვინც იცნობს თ.
 გიორგის დაძვინძვება, რომ ის იმგვარი კანტაგინი არ
 არის, რომ ამისთანა საქმით ჩირქი მოიხსნას.

გარდა ამისა ეს უნდა ვიქონიოთ მსედველობაში,
 რომ სიტრანსოელები სრულებით არ რეულებს აჯანყებაში,
 მოთავენი იყენენ ასახოელები, რომელთაც არა გვარი მონა-
 წილეობა ამ ადგილებში არა აქვთ. — სიტრანსოელების
 ადგილების მსახლობლად ხუფროელების სამოვრება. ეს
 ადგილები კიდევ, აგრეთვე განიხილავდ დამოწმებულის
 შირობის წერილით და სუფროელების ნება-ყოფლობით,
 ქქონდა აღებული იჯარით თ. გ. ჭავჭავაძეს. ერთის
 სიტყვით მსადატანება როგორც ერთის მსაჩინადი — ისე
 შეიძლება არა ყოფილა და თუნდ ყოფილიყო კიდევ ამ
 განმარტებას არ შეეძლო ამისთანა განსუთქილება მოკს-
 დინა მთელს დიდოში.

თუ მიზეზად მართლად ამ ადგილების იჯარით აღე-
 ბას დავსახავთ შილდის მთებზედ დაცვა და ცხვრის გა-
 რეკა რაღა იყო?! შილდის მთა სომ ყოველთვის შილ-
 დისა ყოფილა და დიდოელებს მის დღეში აქ საქმე არა
 ქქონიათ. თუ გ. ჯორჯაძის და ჭავჭავაძის ჯავრი სჭირ-
 დათ სხვას რაღას ემართლებოდნენ!! ძალიან გარკვეულ იტო-
 ნენ დიდოელებმა სად იდგა იმათი ცხვარი, ანუ ვინ
 იყენენ იმათი მწყემსები; ძალიან ადვილად შეეძლოთ ზია-
 ნა მარტო იმათთვის მიეცათ, მაგრამ იმათთვის ხელიც
 არ უსლიათ, შეიკლეს სრულიად სხვის მწყემსები და აი-
 კლეს სრულიად სხვისი ცხვარი.

ქონჩქოლის და გადგომის განმძახავს მთელს დაღეს-
 ტანს ქქონდა, — დაღესაც ანწურელები და ვაზუტელები გად-
 გომიღნი არიან, — ახა ამით ვიღამ წაართვა ადგილები?
 სუ თუ სიტრანსოელების და ხუფროელების მამულების
 ხამოთმეკვამ იჯარით მთელი დიდოელები გააყენა? ეს
 ყოვლად დაუჯერებელია.

ჭეშმარიტი მიზეზი აი რაში მდგომიარებს: დი-
 დოელების ნაიბი ინყო-ჩილო მეტად სპაგლად ექცეოდა
 თურქე დიდოელებს; ყველანი დამუქრებულები იყვნენ, —
 ჟიმისი სოცრი უნდა გჭამოთო.“ გარდა ამისა რსმალას
 მქადაგებლებმა არ დაივიწყეს ეს მხარეც. მასდღეს შემდეგ

რაც რუსეთ-ოსმალეთის ომი დაიწყო, ძალიან ბევრი გა-
 ცი თურქე მოვიდა დიდოში ოსმალეთიდან.

აი ყველა ამას და კიდევ სხვა წერილად ამ-
 ბებს შეელებს და ასლებს შეასხათ ფრთები დიდოელები-
 სათვის, და აეჯანყებინათ.

ასლაც ბევრჯან თურქეა ჩონჩქოლი და, თუ თოვლ-
 მა მალე არ გვისწრო, კიდევაც სიფრთხილე ქმართებს
 გასეთსა.

ქიჩოელი.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა.

გამოვიდა ამ დღეებში წესდება სასჯელთა წესად,
 რომელთაც გადასწევებენ მომრიგებულნი მსატრფინი გას-
 საციის განაჩენებითა. ისეილება თბილისში ტერ-გრაქუ-
 როვის მდარიაში, ქუთაისში ტერ-გრაქუროვის აგენტ-
 თან და სიღნაღში ნ. გამრეკელთან.

სახელმძღვანელონი, უფლებილინი
 ი. გომეზაშვილისაგან.

მართული ანბანი და პირველი საკითხავი
 წიგნი, სახლობაში სახმარებელი, სასლი ვრცელად და
 შეცვლილი გამოცემა, ფასი ორი შაური. ისეილება გა-
 მომცემლის გრაქუროვის წიგნების მდარიაში გუგის
 ხიდთან. ვინც ნაღდ ფულზედ ასს, ან მომეტებულს კ-
 რეკმპლიარს ერთბაშთ იყიდის, იმას კვტემპლიარი დაეთ-
 მობა 9 კაპეიკათა.

დარიგება მასწავლებელთათვის შესახებ ხმა-
 რებისა წინეთ მოხსენებული წიგნისა, ფასი ერთი
 შაური, ისეილება იქვე და მელიქიშვილის სტამ-
 ბაში.

დედა ენა, ანუ ანბანი და პირველი საკით-
 ხავი წიგნი, სახალხო შკოლებში სახმარებელი
 გამოცემა პირველი, შეკეული მრავალი სურათებითა, ფა-
 სი ექვსი შაური, უდაში გადაკრული ცხრა შაური, ისეი-
 დება ვართანოვის წიგნის მდარიაში გუგის ხიდზედ
 ვინც ნაღდ ფულზედ იყიდის ერთათ ოც და ათ კვტემ-
 პლიარსა, ან მომეტებულსა, იმას დაეთმობა უედო კ-
 რეკმპლიარი სუთ შაურათ, უდასი ორ ანაზათ.